პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 33 (19774) შაბათი, 7 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დავნერგოთ სიახლენი გრაფიკის დაცვით

ეთორმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიმართულებით რესპუბლიკის მრეწველობაში მრავალი ღონისძიება განხორციელდა. ათვისებულია და სერიულად მზადდება ახალი ტიპის მილსაჭრელი ჩარხი, ლაზერული ტექნოლოგიური დანადგარი, სხვადასხვა სახეობის ხელსაწყო.

მანქანათმშენებელ საწარმოებსა და გაერთიანებებში დამთავრდა 100 სამრეწველო რობოტისა და მანიპულატორის, 18 ნაკადური მექანიზებული და კონვეიერული ხაზის, მასალების პლაზმური დამუშავებისათვის გათვალისწინებული 13 ერთეული მოწყობილობის დანერგვა. პროგრესულ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია-ავტომატიზაციის მეოხებით იზრდებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და, კერძოდ, მრეწველობის ეფექტიანობა, მაღლდებოდა მისი ტექნიკური დონე. მწყობრშია 30 კომპლექსური-მექანიზებული საწყობი, უბანი, საამქრო.

საერთოდ, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვასთან და ახალი პროდუქციის ათვისებასთან დაკავშირებული 301 ღონისძიებიდან განხორციელდა 284. ვერ შესრულდა ათისა და არ დაწყებულა შვიდი ღონისძიების განხორციელება. მართალია, მთლიანად შესრულდა მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და წარმოებიდან ძველი პროდუქციის მოხსნის გეგმები, მაგრამ, სამაგიეროდ, თავი ვერ გავართვით ახალ ნაკეთობათა ათვისების ნლიურ დავალებას.

უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გეგმა მთლიანად გადაჭარბებით შესრულდა. სპეციალ ხუთკუთხედით აღნიშნულმა პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 9,4 პროცენტი შეადგინა. არის საწარმოები, რომლებმაც ამ მხრივ მეტად დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიეს. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი დიდებულქიანი ნაწარმის ათვისებასთან და მათი ტექნიკური დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ არის საკმარისი. ზოგიერთ საწარმოში საგრძნობია რამდენიმე წლის წინათ ათვისებული პროდუქციის ხვედრითი წილი. მათ მიერ დაზმადებული ნაწარმი ვერ აკმაყოფილებს დროის მკაცრ მოთხოვნებს. შარშან ვერ შეასრულეს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის დამზადების დავალებები საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთმა საწარმომ, „ანალიზხელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, „საქსურსათმაშენის“ საწარმოო გაერთიანებამ, რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებამ, რის შედეგადაც მომხმარებელს 29,8 მილიონი მანეთის სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქცია დაკლდა. ამ საწარმოების ხელმძღვანელებმა უნდა დააჩქარონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებით მწვავედ რჩება მანქანათმშენებლობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემა, ეს რესპუბლიკის მრეწველობისა და, კერძოდ, მანქანათმშენებლობის კომპლექსის უმნიშვნელოვანესი გადასაწყვეტი ამოცანაა. აღარ უნდა მტკიცება იმაზე, რომ მანქანათმშენებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების საფუძველია და მისი უპირატესი განვითარების საკითხი კანონზომიერად მოექცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის ყურადღების ცენტრში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ამხანაგმა შ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ შესუსტდა ყურადღება მანქანათმშენებლობის განვითარებისადმი. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრები ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, არ შეესაბამებოდა მისი ტექნიკური რეკონსტრუქციის ამოცანებს. ისიც ითქვა, რომ მანქანათსაშენებელი კომპლექსის უპირატესი განვითარების ამოცანა დიდი სიძნელეებით ნყდება, მაგრამ საქმე ადგილიდან უკვე დაიძრა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის მოქმედ მანქანათსაშენებელ საწარმოთა განახლებისა და რეკონსტრუქციის დაბანდებანი.

ზემოაღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად დაჩქარდა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება. ამ მიმართულებით შარშან, შარშანწინდელთან შედარებით ათვისებულია 14,5 პროცენტით მეტი კაპიტალდაბანდება. ბევრი რამ გაკეთდა წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, განსორციელდა პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვასთან, მისი გამოყენების მოცულობების გაფართოებასთან, ნედლეულის კომპლექსურ გადამუშავებასთან, უნარჩენო წარმოების შექმნასთან დაკავშირებული ასობით ღონისძიება. მანქანათსაშენებელ საწარმოებში გადიდდა სიბაზო ტექნოლოგიის გამოყენების მასშტაბები. მეტი ყურადღება დაეთმო გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დანერგვას.

შესრულდა ხელის შრომის მიზნობრივი კომპლექსური მექანიზაციის შარშანდელი პროგრამა. მრეწველობაში მექანიზებულია 6 ათასი კაცის, მშენებლობაში 2 ათასი, სოფლის მეურნეობაში 13 ათასი კაცის შრომა, შრომის მექანიზაციისათვის განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა მეტალურგიული, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის საწარმოებში. ყველაფერი ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ მართალია ისიც, რომ ხელის შრომის ხვედრითი წილი მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებლობის პირობებში ყოვლად დაუშვებელია.

გაერთიანებებისა და საწარმოების უმეტესობა ახლა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს „ვიწრო“ ადგილების ხალიკვიდაციოდ, საწარმოებისა და პროდუქციის ტექნიკური დონის ასამაღლებლად. საგრძნობლად გამოცოცხლდა საპატენტო-სალიცენზიო სამუშაოთა მსვლელობა.

რესპუბლიკის ზოგიერთმა სამინისტრომ, უწყებამ, საკავშირო დაქვემდებარების საწარმომ ვერ შეასრულა შარშან ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმა. ვერ დაინერგა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სამი და დაუმთავრებელი დარჩა თერთმეტი სიახლე. ეს ძირითადად აიხსნება ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის საკითხების მოუგვარებლობით, საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის დაუმუშავებლობით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არადროული მიწოდებით... ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო თითო მნიშვნელოვანი სიახლის დანერგვა ვერ უზრუნველყვეს, მაგალითად, „ობილისრძის“ საწარმოო გაერთიანებამ, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, „საქქვანსშირის“ საწარმოო გაერთიანებამ, „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებამ და სხვა. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად საკავშირო სამინისტროები ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებებს კი აძლევენ რესპუბლიკაში განლაგებულ საწარმოებს, მაგრამ არ უზრუნველყოფენ საჭირო რესურსებით. ამ მიზეზით შარშან სახელმწიფო გეგმით ნაკარაუდევი თოთხმეტი დავალებიდან არ შესრულდა ხუთი.

მიმდინარე წელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. ამიტომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და გაერთიანებებმა მიზანდასახული ღონისძიებები უნდა განახორციელონ სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის კონტაქტების განმტკიცებისათვის, წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის, იმ დიდი, ყოვლისმომცველი პროგრამის შესრულებისათვის, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაგვისახა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დაჩქარების გეგმის რეალიზაციას.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული თხზულებანი

ბაბოევიდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული თხზულებების მეხუთე ტომი. ცხრატომეულის გამოცემას ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. იგი შეიცავს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს. (საქდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 5 თებერვალს გამართულ სხდომაზე განიხილა და მოიწონა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სახალხო მრხმარების საქონლის წარმოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების სფეროებში კოოპერატივების შექმნისათვის მთავრობის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, კოოპერატივებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივი კვების პროდუქციაზე, საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულ დაკმაყოფილებას, შეავსონ ამ სფეროებში სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა მოქმედი სისტემა. სანიმუშო წესდებათა შესაბამისად, კოოპერატივები თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე იმუშავებენ და მთლიანად აგებენ პასუხს თავიანთი სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის. განსაზღვრულია კოოპერატივებში მონაწილეობისათვის მიიზიდონ პენსიონერები და საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმელი ბელი სხვა მოქალაქენი, აგრეთვე სტუდენტები და მოსწავლეები. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს წინადადება მიეცათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი კოოპერატივების შექმნას და მათს წარმატებულ მუშაობას.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის პირობების გაუმჯობესების საკითხი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარება, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში მათი როლის გაძლიერება შემოქმედებითი კავშირების წინაშე სახავს იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ყველა სახეობისა და ჟანრის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნის პასუხსაგებ ამოცანებს. ამის გამო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელშიც დასახულია მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა თეატრალურ მოღვაწეთა და მხატვართა კავშირების მუშაობის შემდგომი გაკეთილშობილება, ამ კავშირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ბინების, შემოქმედებითი სახლების მშენებლობის, აგრეთვე საგამომცემლო საქმიანობის, ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდის ღონისძიებანი.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების შემდგომი განვითარების შესახებ. დადგენილებაში გათვალისწინებულია საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, კოლტურის სასახლეებთან და სახლებთან და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხვა დაწესებულებებთან შეიქმნას ტექნიკური შემოქმედების კლუბები, უზრუნველყონ ისინი მოწყობილობით, ინსტრუმენტითა და მასალებით. შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაეალათ განსაზღვრონ კლუბების დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, აგრეთვე საუკეთესო ნამუშევრების შემქმნელთა წახალისების წესი. დასახულია თვითმოქმედი შემოქმედების პროპაგანდის გაძლიერების, ტექნიკის ნიმუშების დათვალიერებების კონკურსებისა და გამოფენების რეგულარული მოწყობის ღონისძიებანი. განისაზღვრა მეთაური მანქანათსაშენებელი სამინისტროები, რომლებიც პასუხს აგებენ ძირითად სახეობათა ტექნიკისათვის ასეთი შემოქმედების განვითარებაში. ამ სამუშაოთა კოორდინაცია დაეკისრა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

განიხილეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის მუშაობის 1986 წლის შედეგები. აღინიშნა, რომ პარტიული კონტროლის კომიტეტმა გააძლიერა კონტროლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკვანძო საკითხებზე სკკპ XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისადმი. მოიწონა რა პარტიული კონტროლის კომიტეტის საქმიანობა, პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ პარტიული კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყონ პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულების ქმედითი შემოწმება, გაუმჯობესონ თავიანთი საკონტროლო მუშაობა. მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს კადრების მუშაობას პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე. პრინციპული მნიშვნელობა აქვს გავაძლიეროთ ბრძოლა უძრაობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის უცხო სხვა მოვლენების წინააღმდეგ, მკაცრად მოვკითხოთ ყოველ ხელმძღვანელს, თითოეულ კომუნისტს, რომ ზუსტად იცავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს, კომუნისტური მორალის ნორმებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ორგანიზაციული მუშაობის, პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის, აგრეთვე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის გამიზნული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

გელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მინსკი, 6 თებერვალი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან ნ. ნ. სლიუნკოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ე. ე. სოკოლოვი, რომელიც მუშაობდა პარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. სლიუნკოვი.

„ჩემი კოლხეთი, ჩემი სვანეთი!“

მე დღეს დაკეტე
სიფუკას ნუგეშს,
ნაკეთზე შეფს და
უკანა უმაღლესს,
გული რომ აბრუნებს კარკეტ საგუნეში,
კეთილ ქრონ-კოლოგში სოლს რომ უმაგრებს.

ეს მოგვეგონეთ
ქარიზე მეფრის ქარი —
ჩვენზე ამხელად ზეცის სამეფო;
ზვავვა ლალენ აქვნი ბეჭისა,
ჩემი კოლხეთი, ჩემი სვანეთი!

ცამ გადმოლახა
ყველა საზღვარი,
მოდის ულაფერ
და უნაზოლოდ
ჩემი ლიხი და ჩემი საკენე,
ჩემი ლეხი და გულდაყოლილი!

მოდის, ვიდა წინად
მეფური მშიერი,
ლამობს, ქვეყანა
ფეხქვეშ გაიქროს,
მაგრამ დღეს ჩვენ ვართ უფრო ძლიერი —
დღეს თავისი სახელოვან დღის საქმეთაკენ.

დგას სეფეთაკენ,
დგას სეფეთაკენ
ყველა ავდრის და
ბინკრის მსხვრევაკენ...
„ღვინი მეფეთ და ფურეკვენ,
ღვინი მეფეთ და ფურეკვენ!“

1987-II.

„სამუშაო დრო — მუშობას“

— ამ პრინციპის განხორციელება ითვალისწინებს შესაბამისი პირობების შექმნას. და პირიქით: მათი უქონლობა აუცილებლად იწვევს ეკონომიკურ დანაკარგებს. მაშასადამე რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი გარკვეულწილად დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის ობიექტებში სერვისის ორგანიზაციის დონეზე. აქ კი გამოუყენებელი რეზერვები ჯერ კიდევ ბევრია, რაც გვიჩვენა წარმოებაში მომსახურების სფეროს განვითარების რესპუბლიკური საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე ამ საკითხის განხილვამ.

გასულ ხუთწლედში ბევრ საწარმოში გაიხსნა ახალი საგარდერობები, საშხაპეები, ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახები, გაფართოვდა სასადილოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტების ქსელები. ეს ნამდვილად კარგი საქმეა, მაგრამ ტემპი საკმარისი არ არის: მთლიანად თითოეული ჩამოთვლილი პოზიციის გათვალისწინებით რესპუბლიკის ობიექტების უზრუნველყოფა, სამწუხაროდ, ნორმატიულს ჩამორჩება. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტის, სამშენებლო ორგანიზაციებში, სახვარმრეწვის მეურნეობებში. ამასთან, ხშირად საქმე ეხება მხოლოდ ელემენტარულ საკითხებს. აი მაგალითებიც.

დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოში დაბინავებულია კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის დაახლოებით სამასი მშენებელი. სამუშაოები აქ ორი წლის წინათ დაიწყო, მაგრამ მშრომელთა კვება ჯერაც მოუგვარებელია. ერთადერთი სასადილო განლაგებულია მოუხერხებელ ბარაკში, სადაც არა აქვთ არც დამხმარე სათავსები, არც ცხელი წყალი, არც საჭირო ინვენტარი. განა გასაკვირია ის დასკვნა, რომელიც ობიექტის შემოწმების მონაწილეებმა გამოიტანეს? მისი სანიტარიულ-ტექნიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია.

მაგრამ ამითაც როდი მთავრდება მუშათა გასაჭირი. ბოსტნეულით, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტებით მათი ცუდი მომარაგება კიდევ უფრო უარესდება მზარეულთა „იმპროვიზაციის“ შედეგად, რომლებიც თავს არ იწუხებენ კერძების მომზადების ტექნოლოგიის მკაცრი დაცვით. სხვათა შორის, „კერძები“, უნდა ითქვას, ძალზე ხმამაღალია ნათქვამი, რიგან შემოწმების დღეს ასორტიმენტში შედიოდა მხოლოდ წვნიანი და თევზის კონსერვები. ყოველივე ამის დამატებით, სათანადო დონეზე არა დგას მშენებელთა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება. „თბილისგვირაბმშენში“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, აგრეთვე ცეკავშირში, ვაჭრობის, ჯანმრთელობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კავშირგაბმულობის სამინისტროებში თითქოს დაავიწყდათ, რომ დიდი ხნით ოჯახს მოწყვეტილი ადამიანები ისედაც მძიმე პირობებში იმყოფებიან.

იქნებ ბარისახოს ობიექტი შემთხვევით, დასანანი გაუგებრობის გამო გამორჩათ მხედველობიდან შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს? მაგრამ იქაც, სადაც ტრადიციები ათეული წლების მანძილზე იქმნებოდა, ყველაფერი აწყობილი როდია.

თბილისის ლენინის რაიონში დადებითი გამოცდილება შეიძინეს უშუალოდ საწარმოში მშრომელთა საგაპრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში. მაგრამ აქაც არადამაკმაყოფილებლად ინერგება თანამედროვე სახეობის მომსახურება. რაიონის 18 სამრეწველო საწარმოდან მხოლოდ ოთხშია გახსნილი კულინარიისა და ნახევარფაბრიკატების მაღაზიები. მუშამოსამსახურეთა საჭიროებისადმი თავისი უყურადღებით ცნობილ ისეთ გაერთიანებებშიც კი, როგორიც არის „ელმავალმშენებელი“ და „ელექტროაპარატი“, მთლიანად ვერ გაართვეს თავი მეთერთმეტე ხუთწლედში ასეთი მაღაზიების შექმნის დავალებას.

იქაც კი, სადაც ასეთი მაღაზიები არის, ნახევარფაბრიკატები კვირაში მხოლოდ ერთხელ მიაქვთ. ინერტულობის თავისებურ „პარადზე“ სასიამოვნო გამონაკლისია თემქა და ქარხანა „გაზაპარატი“, სადაც შექმნილია შეკვეთის მაგიდები. მაგრამ მაინც ორგანიზაციაში დაშვებული ხარვეზების გამო ეს სიახლე ჯერ კიდევ არ გავრცელებულა მშრომელთა შორის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნაკლოვანებები მოისპობა ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მრეწველობა, თავის მხრივ, არ აღმოფხვრის სავაჭრო ობიექტებში ხორცისა და ბოსტნეულის ნახევარფაბრიკატების შეფერხებით მიწოდებას. საზოგადოებრივი კვების რაიონულ ტრესტს ნახევარფაბრიკატებით საწარმოთა მომარაგება უკვე ამჟამად შეუძლია, თუ გაადიდებს საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების გამოშვებას, რის შესაძლებლობაც აქვთ.

საკოორდინაციო კომისიამ განსაზღვრა საჭირო ღონისძიებანი წარმოებაში მომსახურების გაწევის საქმეში ახლანდელი მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

(საქინფორმი).

მომსახურების სფერო ყურადღებას მოითხოვს

რესპუბლიკური საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე

სურათზე: „სოიუზ ტმ-2“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი — კოსმოსური ხომალდის მეთაური, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი იური ვიქტორის ძე რომანენკო (მარცხნივ) და ბორტინჟინერი ალექსანდრე ივანეს ძე ლავეიკინი.
ვ. ზავიალოვის ფოტო (საქდესის ფოტოკორესპონდენტი).

ბორტინჟინერი ალექსანდრე ივანეს ძე ლავეიკინი

ალექსანდრე ივანეს ძე ლავეიკინი დაიბადა 1951 წლის 21 აპრილს მოსკოვში.

1974 წელს მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც მონაწილეობდა კოსმოსური ტექნიკის ახალი ნიმუშების შექმნასა და გამოცდაში. თავი გამოიჩინა როგორც ტექნიკურად წიგნიერმა და ინიციატივიანმა სპეციალისტმა.

ა. ი. ლავეიკინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1980 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ალექსანდრე ივანეს ძე ჩაირიცხა 1978 წელს. მან გაიარა „სოიუზ ტმ“ ხომალდითა და „მირ“ ორბიტული სადგურით კოსმოსური ფრენისათვის მზადების სრული კურსი.

ხომალდის მეთაური პოლკოვნიკი იური ვიქტორის ძე რომანენკო

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი იური ვიქტორის ძე რომანენკო დაიბადა 1944 წლის 1 აგვისტოს ორენბურგის ოლქის ბუზულუკის რაიონის დაბა კოლუბანოვკაში.

1966 წელს ჩერნიგოვის ლენინური კომკავშირის სახელობის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მსახურობდა მფრინავ-ინსტრუქტორად სამხედრო-საჰაერო ძალებში.

ი. ვ. რომანენკო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1965 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში იური ვიქტორის ძე ჩაირიცხა 1970 წელს. ი. ვ. რომანენკომ ორჯერ იფრინა კოსმოსში: პირველად 1977-1978 წლებში „სოიუზ-26“ ხომალდით და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურით, მეორედ — 1980 წლის სექტემბერში „სოიუზ ტ-38“ ხომალდით როგორც საბჭოთა კავშირ-კუბის საერთაშორისო ეკიპაჟის მეთაურმა, რომელიც მოელოდა ამ ორ ქვეყანას ერთობლივ კოსმოსურ ექსპედიციას. ამ ექსპედიციის „მირ“ სამეცნიერო სადგურში.

ადვილი არ არის კოსმოსურ სიმაღლეზე ასვლა, ყველას როდი ეძლევა ასეთი უფლება. ი. რომანენკომ პირველად იგი დაიმსახურა ათი წლის წინათ, როცა გ. გრეჩკოსთან ერთად „სოიუზ-26“ ხომალდით სტარტი აიღო „სალუტ-6“ სადგურისაკენ. მისი ამბავი კი უფრო ადრე შეეტყვეთ: 1975 წელს იგი მეთაურობდა „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით ერთ-ერთ დუბლიორ ეკიპაჟს, 96 დღე-ღამეს გრძელდებოდა „ტაიმირების“ ვახტი. მაშინ ეს რეკორდი იყო, თუმცა დღეს საბჭოთა კოსმონავტიკის აქტივში უკვე არის 237 დღე-ღამის ხანგრძლივობის ექსპედიცია.

სამი თვის მუშაობის მანძილზე „ტაიმირები“ ორბიტაზე შეხვდნენ ვ. ჯანიბეკოვისა და ო. მაკაროვის წევრის ექსპედიციას; პირველ საერთაშორისო ეკიპაჟს — საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკიპაჟს. „ტაიმირებმა“ არა მარტო პირველებმა „შეაღეს“ „სალუტ-6“ ახალი სადგურის კარი, არამედ მიიღეს, შემდეგ კი განტვირთეს „პროგრეს-1“ ხომალდი, და ამით პირველი კოსმოსური დოკერები გახდნენ.

1980 წელს იური რომანენკოს მიენდო საბჭოთა კავშირ-კუბის ეკიპაჟის მეთაურობა.

„ტაიმირ-1“-ის შესახებ გულთბილად ილაპარაკა ახლანდელმა ბორტინჟინერმა ა. ლავეიკინმაც: ალექსანდრეს, რა თქმა უნდა, გაუმართლა — კარგი მეთაური ჰყავს. ორბიტაზე ხომ იგი ახალბედაა. დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც კოსმოსურ ტექნიკას ქმნიან. 1978 წლიდან კოსმონავტთა რაზმშია. დღეს კი იგი სამოცდამეერთე საბჭოთა კოსმონავტი გახდა.

— იურიზე ვეფიდი წლით ახალგაზრდა ვარ, — თქვა ალექსანდრემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. — მომწონს მისი ეფექტიანობა, გულკეთილობა, იუმორი. სასიამოვნოა, რომ უფროსი ამხანაგი ეკიპაჟში სამედიო, გამოცდილი კაცია არა მარტო კოსმოსურ ფრენაში, არამედ ცხოვრების თვალსაზრისითაც.

აი, რას ფიქრობს ბორტინჟინერზე მეთაური!

— საშას ახასიათებს იუმორის გრძნობა, ტაქტიანობა, გულკეთილობა, შრომისმოყვარეობა, შესანიშნავი რეაქცია აქვს, კარგად ერკვევა ოპერატორის მუშაობაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

სინათლე ღამით ველზე

რეპორტაჟი „სოიუზ ტმ-2“ კოსმოსური ხომალდის სტარტის შესახებ

ღამით ბაიკონურის ველზე რაკეტის ძრავების გრგვინვამ აუწყა ყველას, რომ დაიწყო ახალი ეტაპი დედამიწისიერგეოლი სივრცის ათვისებაში. „სოიუზ-ტმ-2“ კოსმოსურმა ხომალდმა ორბიტაზე გაიყვანა იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი, რომლებსაც მოელოდა მრავალი თვის ექსპედიცია მესამე თაობის „მირ“ სამეცნიერო სადგურში.

ადვილი არ არის კოსმოსურ სიმაღლეზე ასვლა, ყველას როდი ეძლევა ასეთი უფლება. ი. რომანენკომ პირველად იგი დაიმსახურა ათი წლის წინათ, როცა გ. გრეჩკოსთან ერთად „სოიუზ-26“ ხომალდით სტარტი აიღო „სალუტ-6“ სადგურისაკენ. მისი ამბავი კი უფრო ადრე შეეტყვეთ: 1975 წელს იგი მეთაურობდა „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით ერთ-ერთ დუბლიორ ეკიპაჟს, 96 დღე-ღამეს გრძელდებოდა „ტაიმირების“ ვახტი. მაშინ ეს რეკორდი იყო,

თუმცა დღეს საბჭოთა კოსმონავტიკის აქტივში უკვე არის 237 დღე-ღამის ხანგრძლივობის ექსპედიცია.

სამი თვის მუშაობის მანძილზე „ტაიმირები“ ორბიტაზე შეხვდნენ ვ. ჯანიბეკოვისა და ო. მაკაროვის წევრის ექსპედიციას; პირველ საერთაშორისო ეკიპაჟს — საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკიპაჟს. „ტაიმირებმა“ არა მარტო პირველებმა „შეაღეს“ „სალუტ-6“ ახალი სადგურის კარი, არამედ მიიღეს, შემდეგ კი განტვირთეს „პროგრეს-1“ ხომალდი, და ამით პირველი კოსმოსური დოკერები გახდნენ.

1980 წელს იური რომანენკოს მიენდო საბჭოთა კავშირ-კუბის ეკიპაჟის მეთაურობა.

„ტაიმირ-1“-ის შესახებ გულთბილად ილაპარაკა ახლანდელმა ბორტინჟინერმა ა. ლავეიკინმაც: ალექსანდრეს, რა თქმა უნდა, გაუმართლა — კარგი მეთაური ჰყავს. ორბიტაზე ხომ იგი ახალბედაა. დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც კოსმოსურ ტექნიკას ქმნიან. 1978 წლიდან კოსმონავტთა რაზმშია. დღეს კი იგი სამოცდამეერთე საბჭოთა კოსმონავტი გახდა.

— იურიზე ვეფიდი წლით ახალგაზრდა ვარ, — თქვა ალექსანდრემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. — მომწონს მისი ე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მასალების შესწავლისათვის მეცადინეობის

სანიმუშო გეგმა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა. მისდამი კომუნისტთა, ყველა საბჭოთა ადამიანის უდიდესი ინტერესის გათვალისწინებით რეკომენდებულია მოიწყოს პლენუმის მასალების გაღრმავებული შესწავლა პარტიული, კომკავშირული, მახობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში.

ამა წლის თებერვალ-მარტის განმავლობაში მიზანშეწონილია მოეწყოს ორი სპეციალური მეცადინეობა. ეს სჭობს განხორციელდეს აზრთა გულახდილი, დაინტერესებული გაზიარების ფორმით, თავისი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებასთან, შრომითი კოლექტივის საქმეებთან მჭიდრო კავშირით.

მეცადინეობის სანიმუშო სასწავლო გეგმა.

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი უდიდესი პოლიტიკური მოვლენაა პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში. საბჭოთა საზოგადოების განვითარების ობიექტური ისტორიული ანალიზი, გარდაქმნის პროცესის თეორიული დასაბუთება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი. კომუნისტები, მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს პლენუმის მასალებისადმი.

2. გარდაქმნა ობიექტური საჭიროებაა. საბჭოთა ხალხის მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში პარტიის გეგმების, ჩვენი სამომავლო ჩანაფიქრების რეალიზაციის მტკიცე საფუძველია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების მიჯნაზე ქვეყანაში შექმნილი საქმის ვითარების, ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების მიზეზების შესახებ. გარდაქმნისა და დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის რევოლუციური ხასიათი. გარდაქმნის არსი, მისი პირველი ნაბიჯები, წამოჭრილი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. წარმატებული წინსვლის გარანტიები, წინანდელი შეცდომების განმეორების გამორიცხვა. 1986 წლის გეგმის შესრულების შედეგები (ადგილობრივი მასალების გამოყენებით).

იმის ანალიზი, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა ამა თუ იმ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამეცნიერო დაწესებულებაში და ა. შ. ახლის ყლორტების, გარდაქმნის შეძენილი გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება. რა გვიშლის ხელს უფრო სწრაფ და ეფექტიანად წინსვლაში.

3. გავაღრმაოთ სოციალისტური დემოკრატიზმი, განვავითაროთ ხალხის თვითმმართველობა. ვ. ი. ლენინი და სოციალიზმისა და დემოკრატიის ცოცხალი, შინაგანი კავშირი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დემოკრატიზაციისათვის გამიზნული პარტიის კურსი. დემოკრატიის განვითარება, თვითმმართველობის თანამიმდევრული დანერგვა წარმოებაში. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი. საბჭოთა საარჩევნო სისტემის სრულყოფა. შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოება. „ზემოდან“ და „ქვემოდან“ კონტროლის დონის ამაღლება და ეფექტიანობის გაზრდა. საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა დემოკრატიის ნაცადი ინსტრუმენტებია. დემოკრატიისა და დისციპლინის, თანამდებობის პირთა, თითოეული მოქალაქის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის, უფლებებისა და მოვალეობების ორგანული შეხამება. ეროვნული ურთიერთობის განვითარება, ინტერნაციონალური აღზრდის როლი და მნიშვნელობა.

4. საკადრო პოლიტიკა გარდაქმნის პირობებში. გარდაქმნის მიზნებია შესაბამისი თანამედროვე საკადრო პოლიტიკის საჭიროება. დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, მისი განხორციელების რეალური საქმეები კადრების შეფასების გადამწყვეტი კრიტერიუმია. კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიული მომზადების, იდეურ-ზნეობრივი წრთობის გაძლიერება. ეკონომიკის ყველა დარგის სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მზარდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. სამინისტროებისა და უწყებების, მართვის მთელი აპარატის მუშაობის სრულყოფა. სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის გაზრდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში. პროფკავშირებისა და კომკავშირის საქმიანობის გააქტიურება.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია გარდაქმნისათვის, დაჩქარებისათვის ბრძოლის ძირითადი რგოლია. ყველა საბჭოთა ადამიანის ეფექტიანი, კეთილსინდისიერი მუშაობა, მათი მონაწილეობა მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებული შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის პატრიოტულ მოძრაობაში მიმდინარე გარდაქმნათა შეუქცევადობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

გვიხმობს საგაზაფხულო მინდორი

სინათლე ღამით ველზე

(დასასრული)

სტარტის წინ კვლავ მოვახერხეთ შეეხვედროდით ეკიპაჟს ტრადიციულ პრესკონფერენციაზე. ამ დროისათვის მათ კოსმოდრომზე უკვე ორი კვირა დაჰყვეს.

ჩვენ გვერდით საბჭოთა კავშირისეული ორი ეკიპაჟია. ისინი კოსმოდრომზე ჩამოვიდნენ მისი ნაგებობების გასაცნობად, იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შეხვედროდნენ ძირითად ეკიპაჟს, რომელთანაც შემდგომში მათ მოუწევთ მუშაობა ორბიტულ კომპლექსში.

— უკანასკნელი დღეების განმავლობაში ვმეცადინეობდით არა მარტო ხომალდში, არამედ აუდიტორიაშიც — ვემზადებოდით სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტების მოწყობისათვის, — უთხრა ჟურნალისტებს ი. რომანენკომ.

— ჩვენ პირველი მივერინეთ ახალი ხომალდით, — განაგრძო მან. — ეს [illegible] მორბედებზე გა[illegible] ოფილია, უფრო სანიმდოა და კოსმონავტებს მართვის გაცილებით მეტ შესაძლებლობებს აძლევს.

კითხვა სირიელ კოსმონავტებს: როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებანი აქ, კოსმოდრომზე?

— ძნელია შთაბეჭდილებების გადმოცემა, მეტად დიდია ემოციების მუხტი, — გვიპასუხა მუჰამედ ფარისმა. — მოუთმენლად ველით იმ წუთს, როცა პირველად დავინახავთ ჩვენი თვალით კოსმოსურ სტარტს. იური რომანენკოსა და ალექსანდრე ლავეიკინს ვუსურვებთ წარმატებულ ფრენას. სადგურ „მირში“ შეხვედრამდე!

ვ. ოვჩაროვი.

საკადესის სპეც. კორ.

ბაიკონურის კოსმოდრომი.

აფხაზეთის ახსრ თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლების ზამთრის სამუშაო დღე საზრუნავით არის აღსავსე. აქ უკვე დაამთავრეს მარცვლოვანი კულტურების თესლის ხარისხის განსაზღვრა. საკონდიციო ხარისხი მიენიჭა სიმინდის, სოიის, ბარდის, შვრიის, ჭერის, ცერცველასა და რაფსის თესლს.

ინსპექცია ამოწმებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლისა და სარგავი მასალის სათესლე ხარისხს და ამავე დროს ახორციელებს კონტროლს ნათესების, სათესლე ფონდის მოვლა-მოყვანის, აღებისა და შენახვის, აგრეთვე სტანდარტების დაცვისადმი.

სურათზე: აგრონომ-მეთოდისტი ალეკტინა მანდრიკინა, აგრონომ-ინსპექტორი ნუნუ გეგიძე და სათესლე ინსპექციის უფროსი ქსენია ქაჩიბაია (მარცხნიდან) განსაზღვრავენ მარცვლოვანი კულტურების სათესლე თვისებებს.

ბ. სოკოლოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად

მრთი გამოგონების გზა-ღგალი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მუშაკთა ჯგუფს გამოგონების საავტორო მოწმობები გადაეცა. ერთი შეხედვით ამაში გასაკვირი არაფერია, ქვეყანაში ყოველწლიურად ათასობით გამოგონება ფორმდება სათანადო ორგანოში. დიახ, ფორმდება, მაგრამ ყველა გამოგონება როდი ნახულობს გზას ცხოვრებაში. მრეწველობაში მათგან ხუთი პროცენტი ინერგება და თანაც ერთ საწარმოში. ამ პრაქტიკულად განხორციელებული სიახლიდან ორ-სამ საწარმოში მხოლოდ 0,3 პროცენტს იყენებენ.

ჰოდა, სწორედ ამ ფონზეა შთამბეჭდავი საქართველოს მეტალურგთა გამოგონება, რომელიც მოკლე ხანში ქვეყნის დიდ მეტალურგიულ საწარმოთა უმეტესობის საკუთრება გახდა. მათ შორის არის დარგის გიგანტი საწარმოც — მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი. სიახლემ გზა გიკაფა აგრეთვე ვოლგოგრადის მეტალურგიულ ქარხანა „წითელ ოქტომბერში“, მაკეევკის მეტალურგიულ ქარხანაში, „კრივოროგფოლადის“ ქარხანაში, სხვა საწარმოებში.

დამეთანხმებით, რომ გამოგონების დაჩქარებული დანერგვის მასშტაბი მართლაც საგულისხმოა. ასეთი წარმატება მრავალმა ფაქტორმა და მათ შორის, უპირველესად, პრობლემის აქტუალურობამ განაპირობა. რით გამოიხატება მისი აქტუალურობა?

საქმე ის გახლავთ, რომ ფოლადი არის და, ალბათ, დიდხანს იქნება ძირითადი კონსტრუქციული მასალა. ჩვენი ქვეყანა ახლა ყოველწლიურად 155 მილიონ ტონა ფოლადს ადნობს და ეს შესანიშნავი მიღწევაა. დიახ, ეს კარგია, მაგრამ ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე როდენობასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მისი ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას. არ უნდა მტკიცება იმის, რომ კოროზიისა და დაბალი ტემპერატურისადმი მდგრადი მანქანა-მოწყობილობა, ნავთობისა და გაზის გამტარი მილები, ლიანდაგები, მაღალი მექანიკური თვისების ავტომობილის ძარის ფურცლები მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ფოლადისაგან შეიძლება დამზადდეს. ამასთან, ლითონის ქიმიური შედგენილობით განსაზღვრული მაღალი მექანიკური თვისებები ფოლადის ნაკეთობათა დიდ სამედოობას ვერ უზრუნველყოფენ.

სიმედოობას ძირითადად განსაზღვრავს მავნე და არალითონური მინარევებით ფოლადის გაჭუჭყიანების დონე. ასეთი გაჭუჭყიანება ავარიებისა და ფოლადის დეტალების მწყობრიდან გამოსვლის მიზეზია. რაფინირება, ე. ი. მარტენისა და ელექტროღუმლებში გამდნარი ფოლადის გაწმენდა მოითხოვს ეკონომიურად გაუმართლებელი დნობის პროცესის გახანგრძლივებას. რაც შეეხება თანამედროვე კონვერტორებს, მათში ლითონის რაფინირება, ე. ი. გაწმენდა შეუძლებელია.

ამიტომ რაფინირების პროცესი მეტალურგებმა ღუმლიდან ციცხვში გადაიტანეს. ასე მოიპოვა არსებობის უფლება, დაახლოებით ათი წლის წინათ, მეტალურგიის ახალმა დარგმა — ციცხვმეტალურგიამ, რომელიც აკადემიკოს ბ. ე. პატონის გამოთქმით, ფოლადის ხარისხის მასობრივი გაუმჯობესების საქმეში ყველაზე პერსპექტიული მიმართულება გახდა.

დანადგარები ლითონის ციცხვური დამუშავებისათვის გაჩნდა მაღალი ხარისხის ფოლადის დამამზადებელ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის შვეცია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იაპონია. ისინი წარმოადგენენ გამდნარ ფოლადში ჩასატვირთავი მექანიზმებით, სპეციალური საქშენით აღჭურვილ ცალკეულ სტენდებს და დაცული არიან ცეცხლგამძლე მასალებით. გაწმენდილ ინერტულ გაზს, ან ფხვნილის ნარევს ფოლადში ქშინით ჩაჰბერავენ ხოლმე. ასეთი ტექნოლოგია კი მრავალ სირთულეს უკავშირდება: ამას სჭირდება დამატებითი საწარმოო ფართობი, კაპიტალური დაბანდება მოწყობილობისათვის, საამწეო ოპერაციები, იზრდება ცეცხლგამძლე მასალების დანახარჯები, შრომატევადია პროცესის განხორციელება.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობებისა, ციცხვმეტალურგიის დანერგვა საჭირო გახდა, ამას მოითხოვდა ფოლადის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა მარტენის საამქროებში. მათს სამსხმელო მალებში სატრანსპორტო ხაზები ღუმლების გასწვრივ გადის და ამიტომ დამატებითი საამწეო ოპერაციები არღვევს საამქროთა მუშაობის რიტმს.

რუსთავის მეტალურგებმა შემოგვთავაზეს ამ ტექნოლოგიის ორიგინალური გადაწყვეტა:

ჩაბერვას აწარმოებენ ლითონის ღუმლიდან გამოშვების დროს ციცხვის ნახვრეტის საშუალებით და არა მაღლიდან ჩატვირთული ქშინის მეშვეობით.

ერთი შეხედვით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა საქმეში ჩაუხედავს შეიძლება მარტივი მოეჩვენოს. სპეციალისტებმა ამ საკითხის სირთულე კარგად იციან, მაგრამ მათ აკვირვებთ სხვა ამბავი: როგორ გაბედეს ავტორებმა ამ წინადადების პრაქტიკული შემოწმება, როცა ციცხვიდან ლითონის გამოსაშვები ხვრელი ყველაზე სუსტი და სახიფათო ადგილია. ოდნავი წინდაუხედავობა და შეიძლება ციცხვიდან 250 ტონა გავარვარებული ლითონი გადმოიქცეს და საამქრო დიდი ხნით გააჩეროს. ეს კი მილიონობით მანეთის ზარალია და, რაც მთავარია, საშიში მომსახურე პერსონალისათვის. არსებული წესის თანახმად ფოლადსადნობი საამქროს ერთი საათით დაყოვნებაც კი უმაღლესი დონის საგანგებო შემთხვევად ითვლება.

წინადადების გამოგონების პრაქტიკული შემოწმების თაობაზე მხარს არავინ უჭერდა. ეს ავანტიურისტული აქტიაო, ამბობდნენ, მაგალითად, ურალის ზოგიერთი მეტალურგიული ქარხნის შთამომავლობითი მეტალურგები.

ასეთ სიტუაციაში თავისი სიტყვა თქვა რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა. ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ კოლეგიის სხდომაზე მოიწვიეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, დარგის მეთაური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და დიდი მეტალურგიული საწარმოების წარმომადგენლები. საკითხი განხილეს საქმიანად, მაღალ პროფესიულ დონეზე. მოხსენებები კამათში გადავიდა და ამან ბოლოს და ბოლოს გაარკვია ყველაფერი. გზა მისცეს გაბედულ, პროგრესულ, დღეისათვის მეტად საჭირო სიახლეს.

ახალი ტექნოლოგიით რუსთაველებმა დღეისათვის მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი გამოადნეს. სამ მილიონ ტონა ლითონზე მეტი გამოადნეს ამ მეთოდით ქვეყნის სხვა საწარმოებშიც უთავრიოდ, უდანაკარგოდ, დიდი ტექნოლოგიური ეფექტით.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს დავალებით ახალ ტექნოლოგიაზე ქვეყნის მეტალურგიული საწარმოების ყველა მარტენის საამქრო გადადის. ოპერატიულად გამოეხმაურა ზემოხსენებულ ფაქტს ჟურნალი „სტალი“, რომელშიც ამ საკითხთან დაკავშირებით სტატია და სარეკლამო ცნობა დაიბეჭდა.

ამის შემდეგ კი უკვე გახდა ცნობილი, რომ ქართველ მეტალურგთა ტექნოლოგიის ლიცენზიის შესყიდვას ხელი მოაწერეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კრუპპის“ ფირმის წარმომადგენლებმა.

ამ მოვლენას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები მსოფლიო ეკონომიკურ ბაზრებზე გასულნი არ არიან განებივრებულნი. ეს მოვლენა იმის მაჩვენებელიც არის, რომ სულ უფრო იზრდება მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირები, რაც შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

სამუშაო თემა „ინერტული გაზებით გამდნარი ფოლადის დამუშავების ახალი, დიდეფექტიანი ტექნოლოგიის შექმნა და მისი ფართო დანერგვა“ წარდგენილია 1987 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. მისი ავტორები არიან ა. ბაკურაძე, ა. გაბისიანი, გ. ქაშაკაშვილი, მ. ლანჩავა, ვ. მოსიაშვილი, მ. მუმლაძე და თ. შათირიშვილი.

ზ. ამაშუკელი.

ფუნდამენტური ნაშრომი

ვაზი საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობს და იგი ყოველთვის ქართველი კაცის სათაყვანებელი კულტურა იყო. მევენახეობა, საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი, ამჟამადაც დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის ეკონომიკაში.

ქართველმა მევენახე მეცნიერებმა არაერთი ნაშრომი შექმნეს მევენახეობის აგროტექნიკის, სელექციის, ამპელოგრაფიის, ანატომიის, ფიზიოლოგიისა და სხვა დარგების შესახებ. რაც შეეხება ვაზის ბიოქიმიურ გამოკვლევას, მისი ცალკეული ორგანოების ქიმიური შემადგენლობისა და მცენარის განვითარების პროცესში ორგანულ ნივთიერებათა წარმოშობა-გარდაქმნის გზების შესწავლას, ამ სფეროში მეცნიერულ ნაშრომს შედარებით მოკლე ისტორია აქვს. საქართველოში მას საფუძველი ჩაუყარა პროფესორმა სერგი დურმიშიძემ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში. ახლა ამ დარგში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული, რომელთაც დიდი როლი ენიჭებათ მევენახეობის ცალკეული დარგების პრაქტიკული საკითხების დამუშავებისათვის.

მიუხედავად მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევისა, ვაზის ბიოქიმიაში უკანასკნელ წლებამდე ერთიანი მონოგრაფიული ნაშრომი არც ერთ ენაზე არ არსებობდა. უდავოდ მისასალმებელია, რომ „ვაზის ბიოქიმია“ პირველად საქართველოში შექმნეს ამ დარგის საყოველთაოდ აღიარებულმა მეცნიერმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა სერგი დურმიშიძემ და მისმა მოწაფემ, ამჟამად საბჭოთა კავშირში ვაზის ბიოქიმიის ერთ-ერთმა წამყვანმა მკვლევარმა, ბიოქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ ხაჩიძემ.

წიგნში თავმოყრილია როგორც თვით ავტორთა მრავალი წლის კვლევის შედეგები, ისე საბჭოთა და უცხოელ მკვლევართა მონაცემები.

ნაშრომში განხილულია ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესთან დაკავშირებული ბიოქიმიური პროცესები, ნახშირწყლების, ორგანული მჟავების, ლიპიდების, ცილოვან ნივთიერებათა, ნუკლეინის მჟავების, არომატული ნაერთების, ფენოლურ ნივთიერებათა, პიგმენტების, ვიტამინების და ზრდის რეგულატორების თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობა და მათი მეტაბოლიზმი ვეგეტაციის პროცესში, ჯიშური და სახეობრივი თავისებურებანი ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ეკოლოგიური პირობების და აგროღონისძიებების გავლენას ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე, აგრეთვე ვაზის გამძლეობასთან და ქლოროზთან დაკავშირებული ბიოქიმიური პროცესების ცვლილებებს.

ძნელია ერთ წერილში დაწვრილებით შევჩერდეთ ასეთი ფუნდამენტური ნაშრომის ცალკეულ თავებზე, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში მოყვანილი ექსპერიმენტული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი თვით ავტორთა მიერ და მათი ხელმძღვანელობითაა შესრულებული. შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

პირველად გაირკვა ვაზის კატეხინების ქიმიური ბუნება. შესწავლილია კატეხინების თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები მტევნის ნაწილებში. დადგინდა, რომ ყურძნის კატეხინები და მათი გარდაქმნის ზოგიერთი პროდუქტი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული П-ვიტამინური აქტიურობით. ვაზის სხვადასხვა ორგანოდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია ფლავონები და ფლავონოლები. დადგენილია ვაზის ძირითადი ორგანოებისა და სხვადასხვა ნაწილის ფენოლკარბომჟავების თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობა და აცილირებული ანთოციანების სტრუქტურა. ექსპერიმენტულად პირველად დადასტურდა, რომ დიგლოოუკაზიდური ანთოციანები არ შეიძლება ჩაითვალოს ყურძნის გენეზისის ტაქსონომიურ ნიშნად. ექსპერიმენტულად დადასტურდა ვაზში როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფენოლკარბონული მჟავების, კატეხინების, ანთოციანიდინების, ფლავონოიდების გარდაქმნის შესაძლებლობანი.

პირველად არის შესწავლილი ვაზის პექტინოვან ნივთიერებათა ქიმიური ბუნება და დინამიკა ცალკეულ ორგანოებში ვეგეტაციის ფაზების მიხედვით.

გამოკვლეულია ნახშირწყლების, ორგანული მჟავების და ამინომჟავების თვისებრივი და რაოდენობრივი შედგენილობის დინამიკა, ვაზის სხვადასხვა ორგანოში ამ ნაერთთა ბიოსინთეზის და გარდაქმნის თავისებურებანი.

პირველად გამოიყო და დახასიათებულია ვაზის ფოთლის, ფესვის და მტევნის ჰეტეიდები. შესწავლილია ამ ნაერთთა წარმოშობა-გარდაქმნის გზები ვაზის ორგანოებში.

შესწავლილია ვაზის ვეგეტატიური ორგანოების ცილების ფრაქციული შედგენილობა და ცალკეულ ფრაქციათა ამინომჟავური შედგენილობა და ელექტროფორეზული სპექტრები.

შესწავლილია ლიპიდების საერთო რაოდენობის, ცხიმოვანი მჟავების და სტერიდების შემცველობა ვაზის სხვადასხვა ნაწილში და მათი დინამიკა ვეგეტაციის ფაზების მიხედვით.

გამოკვლეულია ნივთიერებათა ცვლაში მონაწილე ფერმენტების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ოლიგოსაქარიდების ჰიდროლიზი, ოლიგოლიპიდური ფორმების შედგენილობა, აქტივობის ცვლილებები ვეგეტაციის ფაზების მიხედვით. გამოვლენილია ჯიშური თავისებურებანი.

პირველად დადგინდა, რომ ვაზს უნარი აქვს შეითვისოს უცხო ნაერთები და გარდაქმნას ისინი. გაირკვა, რომ ვაზის ფოთლები ითვისებენ და ანგავენ ეთანს, პროპანს, ბუთანს, პენტანს, ციკლოჰექსანს, ვაზი ითვისებს ბიოსფეროს დანაგვიანების ძირითად ორგანულ კომპონენტებს — არომატულ ნახშირწყალბადებსა და მათს წარმოებულებს. მიკვლეულია, რომ ვაზში არომატული ბირთვის გახლეჩვით გარდაიქმნებიან ჰეტეროციდები: ფენოქსიძმარმჟავა, დიქლორფენოქსიძმარმჟავა და ატრაზინი. ვაზში უცხო ნაერთების, კერძოდ, ჰეტეროციდების დეტოქსიკაციის ერთ-ერთ ძირითად გზას ჰეპტიდებთან კონიუგაცია წარმოადგენს. დადგენილია, რომ უცხო ნაერთები გავლენას ახდენენ როგორც ვაზის ორგანოების უჯრედის მეტაბოლიზმზე, ისე მის ულტრასტრუქტურაზე.

მონოგრაფიის ავტორთა ამ გამოკვლევებმა საერთო აღიარება მოიპოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ვაზში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები განყენებულად კი არ არის განხილული, არამედ დაკავშირებულია მცენარის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან, აგროტექნიკურ ღონისძიებებთან, როგორიცაა სასუქების გამოყენება, გასხვლა-ფორმირება, მწვანე ოპერაციები, მორწყვა, ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოყენება და სხვა. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ექსტრემალური პირობებისადმი გამძლეობას.

ეჭვგარეშეა, რომ ს. დურმიშიძისა და ო. ხაჩიძის შრომა „ვაზის ბიოქიმია“ ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომია და არსებითს წვლილს შეიტანს მევენახეობის

პროგრამის კატალიზატორი — ინფორმატიკის ინდუსტრია

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა შორის ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები გამოირჩევა ყველა დანარჩენისაგან საზოგადოების ცხოვრებაზე ზემოქმედების მრავალფეროვნებითა და სიღრმით.

ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, რომლებიც პირველად მხოლოდ მეცნიერული ამოცანების ამოსახსნელად შეიქმნა, დღეს შორს გასცილდა კვლევითი ლაბორატორიის ფარგლებს და ფართოდ გამოიყენება ყველა დონის მმართველობით აპარატში, ქარხნებში, ფაბრიკებში, ფერმებში, სამედიცინო დაწესებულებებში, დაზგებში და სხვა ტექნოლოგიურ მოწყობილობებში.

დღეს უკვე რეალობად იქცა ის, რაც სულ ახლო წარსულში სამეცნიერო ფანტასტიკური ლიტერატურის საგანი იყო. ქარხანა-ავტომატები, სადაც ყველა ტექნოლოგიურ პროცესებს ასრულებენ „ინტელექტუალური“ რობოტები და მიკროპროცესორებით აღჭურვილი მანქანები, მერძევეობის ფერმები, რომლებშიც ადამიანი თითქმის მთლიანად შეცვალა რობოტმა და მიკრო ელექტრონულ-გამომთვლელმა მანქანამ, სათბურები, სადაც მცენარეთა ზრდის პროცესები ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების საშუალებით მოწმდება და იმართება. უკვე სერიოზულად განხილება „ელექტრონული დაწესებულებების“ შექმნის პრობლემა, სადაც თანამშრომლებს ექნებათ ლოკალურ ქსელში გაერთიანებული პერსონალური კომპიუტერები. ასეთ ელექტრონულ დაწესებულებას საშუალება ექნება იმუშაოს ეგრეთ წოდებულ „უქაღალდო ტექნოლოგიით“.

ამგვარად, ჩვენ დღეს მოწმენი ვართ კაცობრიობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენისა, რომელსაც კომპიუტერულ რევოლუციას უწოდებენ. ბუნებრივია, რომ ამ პროცესს მეტად შორს მიმავალი შედეგები ექნება. სწორედ ამიტომ უწოდა მათ ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კატალიზატორები. ამავე მიზეზით არის, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულების თანახმად, მიმდინარე ხუთწლედში დაგეგმილია გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ერთო წარმოების გაზრდა 2,3-ჯერ, რაც მნიშვნელოვნად უფრო მეტია სახალხო მეურნეობის ბევრი სხვა დარგის პროდუქციის ზრდის ტემპზე.

ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის მოსალოდნელი ფართო გავრცელება ადამიანთა საქმიანობის მრავალ სფეროში ბუნებრივად სვამს სხვადასხვა პროფესიის მქონე სპეციალისტების მიერ მათი ეფექტიანი გამოყენების ამოცანას ანუ ეგრეთ წოდებული კომპიუტერული წიგნიერების ამოცანას. პარტიისა და მთავრობის სათანადო დადგენილებების თანახმად, ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულია ახალი დისციპლინის „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლება. ამგვარად, საშუალო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეები შეიძენენ დაწყებით ცოდნას გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის შესახებ. მაგრამ ცნობილია, რომ ათჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია და ამიტომ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებთან ურთიერთობის მყარი ჩვევის განვითარების საქმეში ხსენებული ახალი დისციპლინის გარდა უდიდესი როლი ეკისრება სწავლების ავტომატიზებული სისტემების გამოყენებას. ფაქტობრივად ასეთი სისტემების საშუალებით ხდება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების დანერგვა სწავლების პროცესში. ეს სისტემები ემყარებიან პედაგოგიური მეცნიერების რეკომენდაციებს და მიღწევებს, იყენებენ თანამედროვე კომპიუტერებს და მის თანმხლებ მოწყობილობებს, განსაკუთრებით კი დისპლეებს და სრულიად ახალ შესაძლებლობებს უქმნიან მოსწავლეებს სასკოლო საგნების შესწავლაში.

სწორედ ზოგადსაგანმანათლებელ სკოლაში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის, როგორც ეფექტიანი სწავლების ტექნიკური საშუალების, გამოყენების პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი პირველი თაოსანი გახდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი. მათ მიერ 1981-1986 წლებში შესრულებული სამუშაო „ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში ავტომატიზებული დამხმარე სახელმძღვანელოების დამუშავება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ბაზაზე და მათი დანერგვა სასწავლო პროცესში“ წარდგენილია საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო პრემიაზე.

ავტორებმა: გ. გვარამიამ (ხელმძღვანელი), ა. ელიგულაშვილმა, მ. ვარსიმაშვილმა, ი. მარგველაშვილმა, ა. ნასყიდაშვილმა, ნ. შათირიშვილმა, მ. ცანავამ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ბაზაზე შექმნეს ორიგინალური ავტომატიზებული დამხმარე სახელმძღვანელო-საკონტროლო-საკორექციო კურსები ალგებრაში (VI კლასი), ინგლისურ ენაში (IV კლასი), საკონტროლო-სათამაშო კურსი ფიზიკაში.

ამ გამოთვლით ცენტრში შექმნილი ავტომატიზებული სახელმძღვანელოები დიდი მოცულობის, პირველი დამთავრებული სამუშაოა, რომელიც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. ავტორებმა დაამუშავეს სასწავლო მასალის მოწოდების თანმიმდევრობა და შეთვისების კონტროლი. დავალებები შედგენილია მათი სირთულის თანდათანობით გაზრდის გათვალისწინებით, ფართოდ გამოიყენება ორიგინალური სათამაშო და შეჯიბრებითი ხასიათის სიტუაციები, რაც თვალისწინებს ცოდნის შეგნებულ შეთვისებას.

VI კლასის ალგებრის ავტომატიზებულ დამხმარე სახელმძღვანელოში სავარჯიშოთა განსხვავებული ტიპებია მოცემული, მაგრამ მათი ამოხსნის ხერხები ერთიან მეთოდურ სისტემას ქმნის. კომპიუტერთან დიალოგში ამ ამოცანების ამოხსნა მოსწავლეს უვითარებს მსგავსი სავარჯიშოების დამოუკიდებლად შესრულების უნარ-ჩვევებს, ავსებს ხარვეზებს მის ცოდნაში.

არსებითია ის, რომ შესაძლებელი ხდება მასწავლებლისათვის სასარგებლო ინფორმაციის დაგროვება მოსწავლის აკადემიური წარმატების შესახებ მანქანური სწავლების გამოყენებამდე და მის შემდეგ. კომპიუტერი აღრიცხავს ყოველი დავალების შესრულებაზე დახარჯულ მანქანურ დროს. ეს ინფორმაცია ყალიბდება სპეციალური უწყისის სახით და მოთხოვნისთანავე მიეწოდება მასწავლებელს ან მოსწავლეს.

ინგლისური ენის ავტომატიზებული დამხმარე სახელმძღვანელოს ეფექტიანობა

საუბარი მხატვრის „სახელოსნოში“

...ესაუბლიკის სახალხო მხატ...ნან, სსრ კავშირის სახელმწი...და შოთა რუსთაველის სახე...ის პრემიების ლაურეატთან ...ნდაკე ელგუჯა ამაშუკელთან ...ემებებითი სიახლეების გასა...ბად კი მივედით, მაგრამ შემ...ი საუბარში სხვადასხვა აქტუ...რი საკითხებიც წამოიჭრა. ეს ...ი იმანაც გამოიწვია, რომ ...ვრის „სახელოსნოში“ — ...ის ეკლესიაში შევხვდით ...თვე ცნობილ მწერალსა და ...ერატორთამცოდნეს, საქართ...ოს კულტურის ფონდის საო...ნიზაციო კომიტეტის თავჯდ...არეს, პროფესორ თენგიზ ბუ...ეს.

...ეკრობთ, იმდღევანდელი სა...ინტერესმოკლებული არ ...და მკითხველისათვის.

...ორესპონდენტი: — ბატონო ...ელგუჯა! რა მიზეზით არის გამოწ...ული, რომ შემოქმედების სახ...ოსნად დაკავებული გაქვთ ...ელი ხუროთმოძღვრების ...ერთი უნიკალური ძეგლი — ...ბატის ეკლესია?

ამაშუკელი: — მოგახსენ...ენ, დღემდე არ გამგიჩნია მოქანდ...ი შემოქმედებითი სახელოსნ...ი. ამიტომ ერთ-ერთი სახელმწიფ...ო შეკვეთის შესასრულებლად ...ეის ხელმძღვანელობამ ეს ...ობა დროებითი სარგებლობ...ისთვის გადმომცა... მცხეთის ...ეს, სადაც ცხოვრობ, მე-13 ...ეულზე მაქვს გრაფიკოსის სა...ოსნო, რომელშიც ქანდაკებაზე ...ობა სრულიად მოუხერხებე...ა. თუ გახსოვთ, აკადემიის და...ერებისთანავე აქტიური შემო...ებითი მუშაობა დავიწყე: გა...ეკეთე ვახტანგ გორგასლის ...ის პროექტზე გამოცხადებულ ...ერსში, თბილისის 1500 წლი...ის საიუბილეო დღეებში შე...ნი „ქართლის დედა“ (ოფიცი...ურად არასოდეს განმიცხადე...ია, მაგრამ დღეს რატომღაც ...ენ სურვილი ვთქვა — ეს ...ნდაკება ქალაქს უსასყიდლოდ ...ადაეცი, მასში არავითარი ჰო...ონარი არ მიმღია)...

...ეს აუცილებლობაა და არა კომფორ...ტი. უბრალოდ, ეს ადამიანისაგ...ან დამატებითი ენერგიის გაღებას ...ითხოვს, რაც, სამწუხაროდ, მე არ ...აღმოჩენილა.

კორესპონდენტი: — განა მშე...ნებლობა შეჩერებულია?

ე. ამაშუკელი: — მშენებლობა ...გრძელდება და, ალბათ, წელს ...დამთავრდება, მაგრამ ვგრძნობ, ...რომ ეს მშენებლობა და მასთან ...დაკავშირებული ამბები ჩემგან ...წაიღებს კიდევ დარჩენილი ფი...ზიკური და სულიერი ენერგიის ...იმ ნაწილს, რომელიც მირჩევნია ...შემოქმედებს მოვახმარო. ამიტო...მ გადაწყვეტე ზემდგომ ორგა...ნოებსა და ქალაქის ხელმძღვანე...ლობას ვთხოვო, აღნიშნული ნაგე...ბობა ჩაიბაროს ქალაქმა მიზნობ...რივი სარგებლობისათვის. ჩემი პირადი სურვილია, რომ იგი ახალ...შექმნილ ორგანიზაციას — საქ...ართველოს კულტურის ფონდს გადაეცეს...

კორესპონდენტი: — ამ განცხ...ადებას განაწყენებული კაცის ინ...ტონაცია ხომ არ ახლავს?

ე. ამაშუკელი: — რას ბრძანე...ბთ, არასოდეს არ მიგრძნია ზე...მდგომი ორგანოების უყურადღე...ბობა და დღესაც არ ვგრძნობ. ...პირიქით: უბრალოდ, სულიერი სიმშვიდისა და მორალური კმაყო...ფილებისათვის, როგორც ყო...ველთვის, დღესაც ადვილად დავთ...მობ მაწიერსა და მატერიალურს (არავითარ შემთხვევაში — სუ...ლიერს).

თ. ბუაჩიძე: — ახლა კი დროა, მეც აქტიურად ჩავერიო საუბარ...ში. მე ვერც კი დამითვლია რამდენ...ი წელია, რაც ელგუჯა ამაშუკ...ელს ვიცნობ. არასოდეს, ვიმეორ...ებ, არასოდეს მისთვის რაიმე გა...ნსაკუთრებული მნიშვნელობისა არ ...ყოფილა პირადი კეთილდღეობა და სხვა ამგვარი, რაც თვითონვე თქვა. მისი მთავარი საზრუნავი, თხოვნა, ფიქრი, თუ გნებავთ, მუ...დარა, ყოველთვის იყო მხოლოდ ...ერთი — მუშაობის პირობები, მინიმალური პირობები მაინც...

კორესპონდენტი: — როგორ იმოდენა ასპარეზი მოიცვა, რომ უწყებებს შორის, ალბათ, ერთგვარი გაბიჯვნაცაა საჭირო, ეს კი დროს მოითხოვს. ფინანსთა სამინისტრო და შრომის სახელმწიფო კომიტეტი იხილავენ საშტატო განრიგებს და ხელფასის ნიხრებს, რაც აგრეთვე ერთ დღეში არ ხდება. მოგეხსენებათ, ყოველთვის რთულია ახალი ორგანიზაციის შექმნა...

კორესპონდენტი: — ელგუჯა ამაშუკელის წინადადებამ როგორ იმოქმედა თქვენზე და, თუ განორიელდა მისი სურვილი, როგორ აპირებთ იმ ნაგებობის გამოყენებას?

თ. ბუაჩიძე: — ელგუჯას ამ ნაბიჯმა პირადად მე აღმაფრთოვანა. ამგვარი მოულოდნელი და, მე ვიტყოდი, უჩვეულო, არაორდინალური დასაწყისი კარგ მომავალს ჰპირდება საქართველოს კულტურის ფონდს. როცა მშენებლობა დასრულდება, იქ მოეწყობა ფონდის პერიოდული გამოფენები მუდმივი ადგილსამყოფელი: დროდადრო მოვაწყობთ შემოწირულობათა გამოფენას, ჩვენი აქტივისტების ყრილობებს, ფონდის ხელმძღვანელობის ანგარიშებს ხალხის წინაშე — ფონდის მთელი მუშაობა, ყოველი მსჯველობანი და წვრილმანი ხომ სრული საჯაროობის ვითარებაში წარიმართება. იქ მოეწყობა პრესკონფერენციები, ლატარიის ტირაჟები, აუქციონები, დაარსდება კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, მოხდება დელეგატთა და სტუმრის მიღება. ეს იქნება თბილისის, საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კულტურის ცენტრი. ჩვენ ვეცდებით, ის ნაგებობა და შემოგარენი ხალხს საყვარელ და საპატივცემულო ადგილად ვაქციოთ, ყველაფერს ამას სჭირდება დრო და თანხები — ჩვენ ხომ ჩვენივე შემოსავლით უნდა ვიარსებოთ...

კორესპონდენტი: — თქვენი აზრით, ელგუჯა ამაშუკელის ნაბიჯი სხვისთვისაც სამაგალითო იქნება?

თ. ბუაჩიძე: — სულით და გულით ვემედგოვნებ! მეც ვიცი ჩვენი ხალხის ხასიათი — ერის საგანძურისათვის არაფერს დაიშურებს. მართალია, ამგვარი მასშტაბის ნაბიჯი იშვიათი გამონაკლისი იქნება, მაგრამ ბევრის მიერ გაღებული მცირე შემოწირულობაც, მოგეხსენებათ, დიდ მასშტაბს იძენს...

კორესპონდენტი: — ბატონო ელგუჯა, მოდით თქვენი შემოქმედებითი გეგმებიც გაგვიზიარეთ!

ე. ამაშუკელი: — როგორც იცით, დავამთავრე მუშაობა ილიას ძეგლზე. საიუბილეო დღეებში იგი ბათუმში დაიდგმება. ქანდაკების ჩამოსხმა უკვე დაიწყო. ასევე დაიწყო „ქართლის დედის“ მუდმივ მასალაში გადატანის სამუშაოები. დაწყებული მაქვს ფარნავაზ მწიგნობრის და იაკობ გოგებაშვილის ძეგლების მოდელები და სხვ. ყოველივე ეს მცირე ზომის ქანდაკებებია და, როგორც მოგახსენეთ, მათი გადატანა ყველგან შეიძლება. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით განვაგრძობ მუშაობას. ქალაქის ხელმძღვანელობა მპირდება, რომ შემექმნება მუშაობის რიგიანი პირობები...

კორესპონდენტი: — წელს მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში უნდა მოეწყოს ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

ე. ამაშუკელი: — დიახ! გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქართველ მხატვართა ყველა თაობის საუკეთესო ნამუშევრები. მონაწილეთა რიცხვით, ნამუშევართა რაოდენობით და ეპარიული მრავალფეროვნებით, იგი ერთ-ერთი უდიდესი იქნება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მოწყობილ გამოფენათა შორის.

კორესპონდენტი: — ბატონო ელგუჯა, საბჭოთა კავშირის კულტურისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე თავის მოხსენებაში ამხანაგმა მიხეილ გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის აკლდა პრინციპულობა, მომთხოვნელობა, ტალანტების განვითარებისა და მხარდაჭერისათვის ნამდვილი ზრუნვა“... თქვენ საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ბრძანდებით, საინტერესოა, რა დასკვნები გამოიტანეთ ამ კრიტიკიდან?

ე. ამაშუკელი: — საქართველოს მხატვართა კავშირი ცდილობს გარდაქმნას თავისი დამოკიდებულება მხატვართა შემოქმედებითი საქმიანობისადმი იანვრის პლენუმის მითითებათა საფუძველზე. დაჩქარება და გარდაქმნა, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებისადმი დამოკიდებულების შეცვლას გულისხმობს, გულისხმობს საკუთარი თავისადმი მომკითხველობის გაზრდას.

ვცდილობთ თითოეული ხელოვნის პრეტენზიას მათ მიერ გაღებული შრომის მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა დავუპირისპიროთ და შევუხამოთ, მინიმუმამდე შევკვეცოთ უსაფუძვლო ამბიციები, ულიმლობის მოძალება, მომავალში მკაცრი კონტროლი გავუწიოთ ყოველი მნიშვნელოვანი ნამუშევრის შექმნის პროცესს...

რა თქმა უნდა, აუცილებელია საჯაროობა, რომელიც შემოქმედებითს ცხოვრებაში უპირველეს ყოვლისა გულისხმობს არა ორატორის ტრიბუნას ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ ხელოვნის შემოქმედებითი შესაძლებლობის, მისი სულიერი ნაყოფის ობიექტურ შეფასებას.

მხატვრის ტრიბუნა საგამოფენო დარბაზია. იქ იგი ისეთია, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც სურს იყოს. ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით და ვცდილობთ ყველა მხატვარს მივცეთ შესაძლებლობა თავისი შემოქმედება საჯაროდ უჩვენოს საზოგადოებრივობას.

კორესპონდენტი: — წარმატებას გისურვებთ მუშაობაში... ნება მიბოძეთ, გაზეთის მკითხველთა სახელით ორივეს დიდი მადლობა გადაგიხადოთ საინტერესო საუბრისათვის.

ინტერვიუერი

ვ. მარდალეიშვილი.

პრესკონფერენცია მოსკოვში

5 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა პრესკონფერენცია თემაზე „გამალებული შეიარაღების, სამხედრო პროგრამების სამშვიდობო ალტერნატივები“. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. თ. პეტროვსკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ე. პ. ველიხოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ე. მ. პრიმაკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზელინსკის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნ. კ. კოჩეტკოვი.

პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა ვ. თ. პეტროვსკიმ. მან თქვა: ეს-ეს არის დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი, რომელმაც დამაჯერებლად ცხადყო, რომ ჩვენს პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს და განავითაროს სკკპ XXVII ყრილობის კურსი— სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლებისათვის ღრმა რევოლუციური გარდაქმნის კურსი. ჩვენი საშინაო ყოველმხრივ შეისწავლიან კონფერენციის მომზადებისა და მისი მომდინარეობის პროცესში.

ჩვენი ღრმა რწმენით, არ არის მეცნიერებისა და ტექნიკის სამხედრო გამოყენების ისეთი დარგი, რომ არ არსებობდეს რეალური სამშვიდობო ალტერნატივები. უახლესი ტექნოლოგიის განვითარებას, მოგების და დასაქმების უზრუნველყოფას, იქნება ეს საბაზრო თუ გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებთან ყველა ქვეყნის ზიარებას აქვს მხოლოდ ერთი საიმედო პერსპექტივა — მათი მშვიდობიანი, სამოქალაქო გამოყენება.

თანამშრომლობის გზებით მეცნიერებისა და ტექნიკის მშვიდობიანი განვითარების უპირატესობა და საერგებლობა ყველასთვის უკვე დამტკიცებულია არსებული გამოცდილებით. ავიღოთ, მაგალითად, ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტო, ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მაშინ, როდესაც კაცობრიობამ ბირთვულ საუკუნეში შეაბიჯა. ხელს უწყობს რა ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილებას, საგენტო ეხმარება ატომური ენერგიის ერთობლივ ათვისებას, რომელიც საჭიროა მედიცინის, სოფლის მეურნეობის, გეოლოგიის, ნაოსნობის მთელ რიგ დარგებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ენერგეტიკაზე.

საბჭოთა კავშირი ყოველნაირად უჭერს მხარს ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს მეცადინეობას იმ მიზნით, რომ ყველა ქვეყნისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ბირთვული ენერგიის მიღწევები, ამასთან ნულამდე შეამციროს მსოფლიოში ატომური დანადგარების ავარიების შესაძლებლობა.

ჩვენი ქვეყნის აქტიური მონაწილეობით ვითარდება საერთაშორისო თანამშრომლობა ენერგიის უსაფრთხო, ამოუწურავი წყაროს — თერმობირთვული სინთეზისათვის ტოკამაკის დანადგარის შექმნაში.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ჭეშმარიტი „ვარსკვლავეთის ომების“ პრაქტიკული ალტერნატივა — კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ეტაპობრივი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კოსმოსური ტექნოლოგიის გამოყენებას ყველა ხალხის მიწიერ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

ინდოეთის პარლამენტში გამოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა 1986 წლის ნოემბერში წამოაყენა წინადადება შეიქმნას საერთაშორისო კოსმოსური ცენტრი ერთობლივი კვლევისა და კოსმოსური ტექნიკის ნიმუშების შემუშავებისათვის განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობით და მათი ინტერესებისათვის. ჩვენ დავიწყეთ ინდოეთის მხარესთან ერთად ამ წინადადების კონკრეტული განხილვა. დიდ ყურადღებას ვუთმობთ მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნას, რომელიც შეუდგება დიდი მასშტაბის საერთაშორისო პროექტების განხორციელებას.

სხვადასხვა ქვეყნის კონსტრუქციული თანამშრომლების სასიკეთო წინამძღვრებს შეიცავს მეცნიერული ცოდნის ისეთი განვითარებული დარგიც, როგორიც არის ბიოლოგია. ეს წინამძღვრები შექმნა ბაქტერიოლოგიური იარაღის აგრძალვის კონვენციამ, რომელიც, სხვათა შორის, ისტორიაში ქმედითი განიარაღების პირველი ღონისძიებაა.

უმკაცრესი კონტროლით ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის დადება — ჩვენ კი მომხრე ვართ იმისა, რომ ეს უკვე წელს მოხდეს, — ფართო ასპარეზს მისცემს ქიმიის დარგში საერთაშორისო თანამოქმედებას.

სამხედრო პროგრამების სტაბილიზაციისა ალტერნატივები მნიშვნელოვანია არა მარტო სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ხელშეწყობის, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით, არამედ მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობს ერთმანეთის შესახებ, გეგმებისა და ჩანაფიქრების შესახებ ცოდნის გაფართოებას, და მაშასადამე, — ნდობის განმტკიცებას, „მტრის“ ფსიქოლოგიის დაძლევას, კონფრონტაციისა და კარჩაკეტილობასთან შედარებით დიალოგისა და საჯაროობის უპირატესობის პრაქტიკულ ჩვენებას.

უფრო მეტიც, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობა ხელს უწყობს კონტროლს ხელშეკრულებებისადმი გამალებული შეიარაღების შეკვეცის შესახებ. ნიმანდგამდგომია, რომ სწორედ ატომური ენერგიის საერთაშორისო [illegible] ფაგალებში მოქმედებს გაუერცელებლობის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებში ბირთვული იარაღის არწარმოებისადმი საერთაშორისო კონტროლის (ეგრეთ წოდებული გარანტიების) ერთადერთი სისტემა. ვიზიარებთ ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს გენერალური დირექტორის ჰ. ბლიქსის აზრს, რომ ამ ორგანიზაციის გამოცდილების გამოყენება ბირთვული [illegible]ების პროცესშიც შეიძლება. ჩვენი აზრით, მოფლიო კოსმოსური ორგანიზაცია, რომლის შექმნის წინადადებასაც ვიძლევით, შეძლებს კონტროლი გაუწიოს შეთანხმებებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღებისა და იმის მიუხედავად, რომ დემონსტრაციულად აიგდეს აბუჩად მსოფლიო გაერთიანება 3 თებერვალს ნევადაში ბირთვული იარაღის გამოცდის მოწყობით, კვლავ გვწამს მსოფლიოში არსებული საღი აზრისა და კეთილი ნების პოტენციალისა, სახელმწიფოთა პოლიტიკურ ქცევაში გონივრული საწყისების დამკვიდრებისა.

საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს იმას, რომ საბჭოთა-შორისო თანამშრომლობამ და განიარაღებისადმი კონტროლმა რაც შეიძლება მალე განდევნოს სამხედრო პროგრამები, ჩაბარაოს ისინი ისტორიას.

ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ყველა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობასაც.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა პასუხი გასცეს კორესპონდენტთა კითხვებს.

(საკდესი).

6 თებერვალი ● საკდესი იუწყება

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

რეიგანი ცეცხლს ეთამაშება

დაგეგმილ ვადაზე ორი დღით ადრე შეერთებულმა შტატებმა 8 თებერვალს ნევადის პოლიგონზე ააფეთქა ბირთვული მოწყობილობა. ეს უბრალოდ ამერიკის მორიგი გამოცდა კი არა, წინასწარ განზრახული პროვოკაცია, გამოწვეული მთელი მსოფლიო გაერთიანებისა, რომელიც ერთსულოვნად მოითხოვს ბოლო მოეღოს ყველა ბირთვულ ადეთქებას. „რეიგანი ცეცხლს ეთამაშება“, ასე შეაფასა ვაშინგტონის მოქმედება საფრანგეთის გაზეთმა „ლუმანიტე“.

საბჭოთა კავშირის ცალმხრივი მორატორიუმის მოქმედების 547-ე დღეს შეერთებულმა შტატებმა გადაწყვეტა გადაედგა ნაბიჯი, რომელიც ადამიანებს მოუსპობდა გამალებული ბირთვული შეიარაღების დაუყოვნებლივი ალაგმვის იმედს. ამერიკის ადმინისტრაციამ კიდევ ერთხელ შესწირა მსხვერპლად მთელი კაცობრიობის საარსებო მნიშვნელობის ინტერესები თავისი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ეგოისტურ ინტერესებს, თავის უგულო მისწრაფებას საბჭოთა კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობას მიაღწიოს მესამე თაობის ბირთვული იარაღის შექმნის გზით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამკამად მიმდინარე ბირთვული გამოცდების დროს ხომ არა მარტო ამუშავებენ ახალ ბირთვულ ქობინებს, არამედ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის შესაბამისად ქმნიან კოსმოსური ბაზირების დამკვრელ შეიარაღებას.

ჩვენთვის განიარაღება თვითმიზანი როდია. იგი მიგვანია არა მარტო ომის საშიშროების აღმოფხვრის საშუალებად, არამედ აგრეთვე ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, სულ უფრო მწვავე გლობალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, განვითარებადი ქვეყნების დაბმარებისათვის დამატებითი რესურსების გამონახვის გზად. სწორედ ამიტომ ჩვენ მიერ 1986 წლის 15 იანვარს წამოყენებული განიარაღების მეშვიდობიან უშიშროების პროგრამა სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის სახსრების გამოყოფის მიიზნევს შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების შეთანხმებათა თანამდევ ღონისძიებად.

საბჭოთა კავშირი მიესალმება ნიუ-იორკში მიმდინარე წლის აგვისტოსათვის დასახულ კონფერენციას განიარაღებისა და განვითარების ურთიერთკავშირის შესახებ და აპირებს საქმით შეუწყოს ხელი მის წარმატებით მოწყობას. მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამოაყენა წინადადება შეიქმნას განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების საერთაშორისო ფონდი, რომელშიც გადაირიცხება სამხედრო ხარჯების შემცირების შედეგად დაზოგილი სახსრების ნაწილი. იმედი გვაქვს, რომ ამ ინიციატივას ყოველმხრივ შეისწავლიან კონფერენციის მომზადებისა და მისი მომდინარეობის პროცესში.

ჩვენი ღრმა რწმენით, არ არის მეცნიერებისა და ტექნიკის სამხედრო გამოყენების ისეთი დარგი, რომ არ არსებობდეს რეალური სამშვიდობო ალტერნატივები. უახლესი ტექნოლოგიის განვითარებას, მოგების და დასაქმების უზრუნველყოფას, იქნება ეს საბაზრო თუ გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებთან ყველა ქვეყნის ზიარებას აქვს მხოლოდ ერთი საიმედო პერსპექტივა — მათი მშვიდობიანი, სამოქალაქო გამოყენება.

ჩვენთვის განიარაღება თვითმიზანი როდია. იგი მიგვანია არა მარტო ომის საშიშროების აღმოფხვრის საშუალებად, არამედ აგრეთვე ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, სულ უფრო მწვავე გლობალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, განვითარებადი ქვეყნების დახმარებისათვის დამატებითი რესურსების გამონახვის გზად. სწორედ ამიტომ ჩვენ მიერ 1986 წლის 15 იანვარს წამოყენებული განიარაღების მეშვიდობიან უშიშროების პროგრამა სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის სახსრების გამოყოფის მიიზნევს შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების შეთანხმებათა თანამდევ ღონისძიებად.

საბჭოთა კავშირი მიესალმება ნიუ-იორკში მიმდინარე წლის აგვისტოსათვის დასახულ კონფერენციას განიარაღებისა და განვითარების ურთიერთკავშირის შესახებ და აპირებს საქმით შეუწყოს ხელი მის წარმატებით მოწყობას. მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამოაყენა წინადადება შეიქმნას განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების საერთაშორისო ფონდი, რომელშიც გადაირიცხება სამხედრო ხარჯების შემცირების შედეგად დაზოგილი სახსრების ნაწილი. იმედი გვაქვს, რომ ამ ინიციატივას ყოველმხრივ შეისწავლიან კონფერენციის მომზადებისა და მისი მომდინარეობის პროცესში.

ჩვენი ღრმა რწმენით, არ არის მეცნიერებისა და ტექნიკის სამხედრო გამოყენების ისეთი დარგი, რომ არ არსებობდეს რეალური სამშვიდობო ალტერნატივები. უახლესი ტექნოლოგიის განვითარებას, მოგების და დასაქმების უზრუნველყოფას, იქნება ეს საბაზრო თუ გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებთან ყველა ქვეყნის ზიარებას აქვს მხოლოდ ერთი საიმედო პერსპექტივა — მათი მშვიდობიანი, სამოქალაქო გამოყენება.

თანამშრომლობის გზებით მეცნიერებისა და ტექნიკის მშვიდობიანი განვითარების უპირატესობა და საერგებლობა ყველასთვის უკვე დამტკიცებულია არსებული გამოცდილებით. ავიღოთ, მაგალითად, ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტო, ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მაშინ, როდესაც კაცობრიობამ ბირთვულ საუკუნეში შეაბიჯა. ხელს უწყობს რა ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილებას, საგენტო ეხმარება ატომური ენერგიის ერთობლივ ათვისებას, რომელიც საჭიროა მედიცინის, სოფლის მეურნეობის, გეოლოგიის, ნაოსნობის მთელ რიგ დარგებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ენერგეტიკაზე.

საბჭოთა კავშირი ყოველნაირად უჭერს მხარს ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს მეცადინეობას იმ მიზნით, რომ ყველა ქვეყნისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ბირთვული ენერგიის მიღწევები, ამასთან ნულამდე შეამციროს მსოფლიოში ატომური დანადგარების ავარიების შესაძლებლობა.

ჩვენი ქვეყნის აქტიური მონაწილეობით ვითარდება საერთაშორისო თანამშრომლობა ენერგიის უსაფრთხო, ამოუწურავი წყაროს — თერმობირთვული სინთეზისათვის ტოკამაკის დანადგარის შექმნაში.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ჭეშმარიტი „ვარსკვლავეთის ომების“ პრაქტიკული ალტერნატივა — კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ეტაპობრივი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კოსმოსური ტექნოლოგიის გამოყენებას ყველა ხალხის მიწიერ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

ინდოეთის პარლამენტში გამოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა 1986 წლის ნოემბერში წამოაყენა წინადადება შეიქმნას საერთაშორისო კოსმოსური ცენტრი ერთობლივი კვლევისა და კოსმოსური ტექნიკის ნიმუშების შემუშავებისათვის განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობით და მათი ინტერესებისათვის. ჩვენ დავიწყეთ ინდოეთის მხარესთან ერთად ამ წინადადების კონკრეტული განხილვა. დიდ ყურადღებას ვუთმობთ მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნას, რომელიც შეუდგება დიდი მასშტაბის საერთაშორისო პროექტების განხორციელებას.

სხვადასხვა ქვეყნის კონსტრუქციული თანამოქმედების სასიკეთო წინამძღვრებს შეიცავს მეცნიერული ცოდნის ისეთი განვითარებული დარგიც, როგორიც არის ბიოლოგია. ეს წინამძღვრები შექმნა ბაქტერიოლოგიური იარაღის აგრძალვის კონვენციამ, რომელიც, სხვათა შორის, ისტორიაში ქმედითი განიარაღების პირველი ღონისძიებაა.

უმკაცრესი კონტროლით ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის დადება — ჩვენ კი მომხრე ვართ იმისა, რომ ეს უკვე წელს მოხდეს, — ფართო ასპარეზს მისცემს ქიმიის დარგში საერთაშორისო თანამოქმედებას.

სამხედრო პროგრამების სტაბილიზაციისა ალტერნატივები მნიშვნელოვანია არა მარტო სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ხელშეწყობის, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით, არამედ მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობს ერთმანეთის შესახებ, გეგმებისა და ჩანაფიქრების შესახებ ცოდნის გაფართოებას, და მაშასადამე, — ნდობის განმტკიცებას, „მტრის“ ფსიქოლოგიის დაძლევას, კონფრონტაციისა და კარჩაკეტილობასთან შედარებით დიალოგისა და საჯაროობის უპირატესობის პრაქტიკულ ჩვენებას.

უფრო მეტიც, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობა ხელს უწყობს კონტროლს ხელშეკრულებებისადმი გამალებული შეიარაღების შეკვეცის შესახებ. ნიმანდგამდგომია, რომ სწორედ ატომური ენერგიის საერთაშორისო [illegible] ფაგალებში მოქმედებს გაუერცელებლობის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებში ბირთვული იარაღის არწარმოებისადმი საერთაშორისო კონტროლის (ეგრეთ წოდებული გარანტიების) ერთადერთი სისტემა. ვიზიარებთ ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს გენერალური დირექტორის ჰ. ბლიქსის აზრს, რომ ამ ორგანიზაციის გამოცდილების გამოყენება ბირთვული [illegible]ების პროცესშიც შეიძლება. ჩვენი აზრით, მოფლიო კოსმოსური ორგანიზაცია, რომლის შექმნის წინადადებასაც ვიძლევით, შეძლებს კონტროლი გაუწიოს შეთანხმებებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღებისა და იმის მიუხედავად, რომ დემონსტრაციულად აიგდეს აბუჩად მსოფლიო გაერთიანება 3 თებერვალს ნევადაში ბირთვული იარაღის გამოცდის მოწყობით, კვლავ გვწამს მსოფლიოში არსებული საღი აზრისა და კეთილი ნების პოტენციალისა, სახელმწიფოთა პოლიტიკურ ქცევაში გონივრული საწყისების დამკვიდრებისა.

საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს იმას, რომ საბჭოთა-შორისო თანამშრომლობამ და განიარაღებისადმი კონტროლმა რაც შეიძლება მალე განდევნოს სამხედრო პროგრამები, ჩააბაროს ისინი ისტორიას.

ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ყველა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობასაც.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა პასუხი გასცეს კორესპონდენტთა კითხვებს.

(საკდესი).

ინტერვიუ გასტროლების წინ

მირეი მატიე:

მოუთმენლად ველი ახალ შეხვედრას

მოუთმენლად, დიდი მღელვარებით ველი ახალ შეხვედრას საბჭოთა კავშირთან, თქვა საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში ცნობილმა ფრანგმა მომღერალმა, მსოფლიო ეტრადის ვარსკვლავმა მირეი მატიემ. მისი გასტროლები საბჭოთა კავშირში გაიმართება ამა წლის ივნისში. მომღერალი კონცერტებს გამართავს მოსკოვსა და ლენინგრადში.

მე უკვე მქონდა ბედნიერება ორჯერ ვყოფილიყავი საბჭოთა კავშირში, — თქვა მ. მატიემ, — პირველად თვრამეტი წლის წინათ—ჩემი შემოქმედებითი გზის დასაწყისში. იმიამად მომთხოვნმა საბჭოთა მაყურებელმა გულმხურვალედ მიმიღო ჯერ კიდევ სრულიად ახალბედა მომღერალი. ხოლო ექვსი წლის წინათ სხელგანთქმული დიდი თეატრის სცენაზე ვიმღერე. ეს მოვლენა სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში, ვინაიდან დიდი თეატრის სცენაზე გამოსვლა უდიდესი პატივია.

საბჭოთა მაყურებლისათვის ვამზადებ პროგრამას, რომელშიც შევა არა მარტო ფრანგი ავტორების უკვე ცნობილი სიმღერები, არამედ სრულიად ახალი ნაწარმოებებიც.

გულით მწადია მცირე სიურპრიზიც მივუძღვნა საბჭოთა მაყურებელს — რუსულ ენაზე შევასრულო რუსული ხალხური ან საბჭოთა სიმღერა.

წლებმა ვერ შეცვალეს ჩემი შემოქმედებითი კredo — ფრანგული სიმღერის ერთგული ვარ, და თუ იმ მხურვალე მიღებით ვიმსჯელებთ, რომელსაც სხვადასხვა კონტინენტზე ვგრძნობ ხოლმე, მას ნამდვილად საერთაშორისო აღიარება და სიყვარული აქვს მოხვეული. სამწუხაროდ, ახლა საფრანგეთში სწორედ ფრანგულ სიმღერას უჭირს. მთელი თვეები სჭირდება ახალი სიმღერის ძებნას, რომელიც ნამდვილად კარგი და დახვეწილი გემოვნების შესაფერისი იქნებოდა. მეტისმეტად დიდია ანგლო-საქსური მუსიკის მოძალება. რადიოსა და

სტიქია და ადამიანები

გვატყობინებენ „კომუნისტისა“
და საქინფორმის კორესპონდენტები

მთელი რესპუბლიკა დაზარალებული რაიონების მცხოვრებთა საზრუნავით ცხოვრობს.

თბილისი. 4 და 5 თებერვალს ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით უბედურების ზონაში გაიგზავნა მშენებელთა და სპეციალისტთა ბრიგადები, სურსათ-სანოვაგე, საშენი მასალები, საავტომობილო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო და სასკოლო ინვენტარი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, თბილი საცვლები და შალის საბნები. დახმარების ფონდში გადარიცხულია დაახლოებით მილიონი მანეთი. რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიის რაიკომებსა და რაიაღმასკომებში შემუშავებულია დახმარების შემდგომი გეგმეები, დაზარალებული რაიონებისათვის შეფების მიმაგრების ზუსტი გრაფიკები. სსრ კავშირის საბანკოს საქართველოს ცენტრორის საქალაქო სამმართველოში კვლავ მოდის ფულადი საბსრები შრომითი კოლექტივებისაგან და თბილისელთა ოჯახებისაგან.

მარნეული. ძნურად შეხვდნენ აქ თოვლის ზვავისაგან დაგნრეულ სოფელ მულახიდან ჩამოსული სვანების ოჯახებს. თითქოს მთელი ქალაქი მოვიდა იმ ადამიანების შესახვედრად, რომლებმაც საშინელი განსაცდელი გამოიარეს.

— მარნეულელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა 72 ჩამოსახლებული უზრუნველეყოთ ყოველივე საჭიროთი ორ ახალ მრავალბინიან სახლში, — თქვა პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნოდარ კომახიძემ. — გვინდა, რომ მარნეულის ახალმა მცხოვრებლებმა შალე დაივიწყონ ის, რაც გადახდათ.

— მობრძანდით, დაათვალიერეთ ბინა, — გვიწვევს ახალმოსახლე თამაზ დადვანი,— მთელი ავეჯი, სამზარეულოთი დაწყებული და საწოლით დამთავრებული, ტელევიზორიც კი, — მარნეულის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის უანგარო საჩუქარია.

ამ სახლში ახალმოსახლეობა უნდა ეზეიმათ მარნეულის მეკარტოფილეების საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს. მაგრამ ორმოცავე ოჯახმა, ბინის რიგში რომ იდგა, ერთსულოვნად გადაწყვიტა, დაიცადონ. მათ შორისაა უფროსი მძღოლი ამირხან მამედოვი, რომლის ბოვალშვილიანი ოჯახიც მეტად ვიწროდ ცხოვრობს.

— თუ საჭირო გახდა, ჩემი ოჯახი მზად არის კიდევ უფრო შევიწროვდეს და გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს ქართველ ძმებს ადგილი დაუთმოს — თქვა ამირხანმა. და მე ვიცი, ასევე ფიქრობენ ჩემი თახამოსაქმე ამხანაგები ნიზამ ყარაბაღლი, ზარიფა მამედოვა, ყველა ჭარნეულელი.

— სტიქიისაგან დაზარალებულ ადამიანთა მიმღებ შტაბს განუწყვეტლივ მიმართავენ მოქალაქეები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებ ი ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევის წინადადებებით, — თქვა მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზაჰიდ ჯალილზადემ. — დაწყებულია საკარმიდამო ნაკვეთებიანი ორმოცი სახლის მშენებლობის საპროექტო-სანიე ბ ო სამუშაოები სოფელ წეროქიის მაღლობლად სვახეთიდან ჩამოსახლებული ოჯახებისთვის.

დმანისი. გადაიდო ახალმოსახლეობა, რომელიც რაიონში იყო დაგებული. ათობით ადამიანმა უარი თქვა ბინების ორდერებზე მესტიის რაიონის დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

— როგორ არ გავუწოდოთ დახმარების ხელი უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს: — თქვა დმანისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ილამ მამედოვმა. — ხუთი შვილი მყავს, მაგრამ მზად ვარ გადავდო ახალ ბინაში ჩასახლება და იგი დავუთმო ქართველ ძმებსა და დებს, რომლებსაც ახლა დახმარება სჭირდებათ. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ დაგვეხმარა მთელი რესპუბლიკა, როცა თავს დაგვატყდა მიწისძვრა.

მესტიის რაიონიდან 150 ოჯახს მიიღებს ვარდისუბნის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის 24-ბინიანი სახლი, ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი რაიონულ ცენტრში, დმანისის სასტუმრო. მესტიელებისათვის თავიანთი ბინების დათმობის სურვილი გამოთქვეს ინდივიდუალური სახლების მფლობელებმაც.

ცხაკაია. რაიონი თავად დაზარალდა წყალდიდობისაგან. აქ დაზიანდა რაფსის, შვრიის, ტურნეფსის ნათესები, გასაწენდია 176 კილომეტრი დასაშრობი ქსელი.

სურათზე: მიმდინარეობს მესტიის რაიონის მცხოვრებთა გახიზვნა.

ვ. ვალიშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მაგრამ ამ ძნელ დღეებშიც კი ცხაკაიელებმა უწინარეს ყოვლისა იმათთვის იზრუნეს, ვინც უფრო მეტ გაჭირვებაში ჩავარდა — თავიანთ სახლებში დაახბინავეს ხობის რაიონის 188 მცხოვრები.

ოჩამჩირე. აქ მცხოვრები დიდი სამამულო ომის ვეტერანები 4 თებერვალს რაიონულ ცენტრში შეიკრიბნენ. მათ წამოაყენეს ინიციატივა, ფულადი დახმარება გაუწიონ დაზარალებულ რაიონებს, რასაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. შესაბამის ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში რაიონის ყოველი მშრომელი რიცხავს თავის დღიურ ხელფასს.

ხობი. სახელდახელოდ შექმნილმა მაშველმა რაზმებმა, სამოქალაქო ავიაციის პილოტებმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების მეომრებმა შეუძლებელი შეძლეს მოსახლეობის ორგანიზებული გახიზვნისათვის. 31 იანვრის იმ საბედისწერო ღამეს ხომ წუთები წყვეტდა ყველაფერს...

მიჯყვები სტიქიის ნაკვალევს, ათვალიერებ მის მიერ დატოვებულ ტრაგედიას, და არ შეიძლება სიბრალულმა არ შეგიპყროს. მიწასთანაა გასწორებული ეზოები, ნარგავები, სახლ-კარი, განადგურებულია მხსნელფეხა რქიანი პირუტყვი, ღორი, ფრინველი. აკრძალვის მიუხედავად მამაკაცები კვლავ დაბრუნებულან ოჯახებში, თავი ჩაუქინდრავთ და თვალცრემლიანი შეჰყურებენ იავარქმნილ კარ-მიდამოს, ზოგიერთს ბარი თუ ნიჩაბი აუღია და შლამით პირგამოტენილი ოთახების გასუფთავებას შესდგომია.

შევდივართ ჭალადიდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმაში. შემზარავი სურათია: ერთმანეთის გვერდით აწყვია სათუთად ნალოლიავები შავ-ჭრელი და შვიცური ჯიშის მეწველი ძროხები, ხბოები, ამწე მექანიზმებით ტვირთავენ მანქანებსა და ტრაქტორებზე. ფერმის ტერიტორიიდან გაავეთ დასამარხავად.

სტიქიის ნაკვალეკს მიჰყვებიან საკავშირო და რესპუბლიკის აგრომრეწვის ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები, სსრ კავშირის მელიორაციის მინისტრი ი. ვასილიევი, რესპუბლიკის მინისტრები, ოპერატიული შტაბის წევრები. ისინი გზადაგზა აფასებენ შექმნილ ვითარებას, ბჭობენ, ყველა შეწუხებულია აქ დატრიალებული ტრაგედიით, სახელდახელოდ გეგმავენ პირველი რიგის სამუშაოებს, სტიქიით მოყენებული ზარალის ლიკვიდაციის ღონისძიებებს.

წყალდიდობას მოჰყვა მსხვერპლი, დაიტბორა 5500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული, დაიხრჩო 3500-ზე მეტი საზოგადოებრივი და პირადი საკუთრების პირუტყვი, მწყობრიდან გამოვიდა სამელიორაციო ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, სფერული კვლები, წყალშემკრები არხები, სკოლები, საავადმყოფოები, კავშირგაბმულობისა და წყალმომარაგების სისტემა; მთლიანად აღსადგენია ელექტრომეურნეობა, მკვიდრად და საიმედოდაა გასამაგრებელი რაიონის მარჯვენა სანაპირო 2 კილომეტრ მანძილზე, და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. რაიონის მთელი მოსახლეობა დარაზმულია პირველი რიგის ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ რაიონში მდგომარეობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს უმოკლეს დროში.

ზუგდიდი. ეს იდეა კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტში დაიბადა: ბიურომ მიიღო დადგენილება და მოუწოდა ქალაქის ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას, მოსწავლე ახალგაზრდობას მოაწყონ ორგანიზებული შაბათობები და დახმარების ფონდში გადარიცხონ გამომუშავებული თანხა. ინიციატივამ ერთსულოვანი გამოხმაურება პოვა. მაგალითი პირველებმა კომკავშირის ქალაქკომის მუშაკებმა უჩვენეს — დახმარების ფონდში გადარიცხეს მთელი თვის ხელფასის ხუთი პროცენტი.

კომკავშირელთა თაოსნობა ერთსულოვნად მოიწონეს ქალაქისა და რაიონის სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ყველა ორგანიზაცია-დაწესებულების შრომითმა კოლექტივებმა. ისინი მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ზარალის ლიკვიდაციაში.

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის (გოფრირებული მუყაოს ყუთების სამშენებლო 30-მა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი უსასყიდლოდ დაეხმარონ დაზარალებულ რაიონებს ღონისძიებების სამუშაოებში. ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელებს და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს გადაწყვეტილი აქვთ ზეიფხულის არდადეგების პერიოდში საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხა მთლიანად დახმარების ფონდში გადარიცხონ.

დეკეშა ნოემერში

დიდია გულისტკივილი, უსაზღვროა სტიქიით შეპირვებულთა გამხნევების, მათი მატერიალური თუ მორალური თანადგომის სურვილი.

რედაქციაში განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი, გვეკითხებიან რა მოიმოქმედონ, რით დაეხმარონ დაზარალებულთ. ზოგი ფულად დახმარებას აღგვითქვამს, ზოგი კიდევ თავის ალაო გულს გვთავაზობს: „ხელოსანი კაცი ვარ, ჩემი საგზლით ჩავალ და მიმსახურეთო!“ ვინ ბინას უთმობს უსახლკაროდ დარჩენილთ, ვინ კიდევ მზადაა დაზარალებულთა შვილების აღზრდა-პატრონობა იტვირთოს.

მოაქვს და მოაქვს ფოსტას დეპეშები და ბარათები — კოლექტიური თუ პირადი. სატკივარი და საზრუნავი კი ყველას ერთი აქვს — თავიანთი გულის სიობო უწინდელად დაზარალებულთ, შეძლებისდაგვარად დაეხმარონ და მხარში ამოუდგნენ მათ ამ განსაცდელში.

ნიმუშად ეს დეპეშაც იკმარებდა, თითქმის დასაბეჭდად გამზადებულ ნომრის რომ მოუსწრო:

„კასპის რაიონის სოფელ დოესის მშრომელები ფრიად დაგვამწუხრა დასავლეთ საქართველოს რაიონებში დატრიალებულმა ტრაგედიამ. მთელი სოფელი მზადაა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილთა დასახმარებლად.

შეგროვილი გვაქვს და დახმარების ფონდში გადავრიცხავთ 3 ათას მანეთს. შერჩეული და გამზადებულია ბინები 100 ოჯახის მისაღებად. დაძახებისთანავე ჩვენი სოფლის 25-კაციანი ახალგაზრდული ბრიგადა, სათანადო ტექნიკით ადგილზე ჩავა და საზღვრის გარეშე იმუშავებს“.

დეპეშას ხელს აწერენ, დოესის მეურნეობის დირექტორი **ამირან ხორბალაძე,** სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **გივი ტურაშვილი,** პარტიული ბიუროს მდივანი **დათო ტურაშვილი,** კომკავშირული კომიტეტის მდივანი **ლია ბარჯაძე.**

მ. ვ. კვარაცხელია

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ვასილის ძე **კვარაცხელია.**

მ. კვარაცხელია დაიბადა 1910 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკოფუში. 1927 წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1928-29 წლებში სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის მებაღეა. სასოფლო-სამეურნო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1932 წლიდან მუშაობდა რაისაბჭოს აღმასკომის წალენჯიხის მიწათმოქმედების განყოფილების უფროს აგრონომად, განყოფილების გამგედ. 1942 წლიდან სხვადასხვა დროს მუშაობდა ხობის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის უფროსად, ცხაკაიას და ქლუხორის რაიონებში მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ. 1943 წელს ირჩევენ საქართველოს კომპარტიის ქლუხორის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1944 წელს — ქლუხორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1945 წელს მ. კვარაცხელია აირჩიეს საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნად. 1953 წლიდან 1985 წლამდე სამეურნეო სამუშაოზეა.

სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას მ. კვარაცხელია, იგი ყველგან ავლენდა სიმტკიცეს, მაღალ იდეურობას, პარტიის საქმისადმი ერთგულებას. სხვადასხვა დროს იგი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, საქართველოს სსრ მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის მ. კვარაცხელია დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებითა და მრავალი მედლით. 1947 წელს რაიონში მაღალი სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების მიღწევისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

მ. კვარაცხელია იყო კეთილსინდისიერი, დაუშრეტელი ენერგიის მუშაკი. მას დამსახურებული პატივისცემა და ავტორიტეტი ჰქონდა თანამოსაქმეებს შორის და საზოგადოებაში.

ღვაწლმოსილი მუშაკის, ღირსეული მოქალაქის მ. ვ. კვარაცხელიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომი, წალენჯიხის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი

მიხეილ ვასილის ძე კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ყაბახი

ფინალურ ეტაპზე

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის მესამე დღეს გამართული ადგილობრივი „დინამოს“ და რიგის ვეფის მატჩის პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო თამაშის სადაევების ხელში ჩაგდება. ამის მიზეზი იყო ის, რომ ორივე კოლექტივი იერიშების ორგანიზების დროს ბევრ შეცდომას უშვებდა. გარდა ამისა, კალათის აღების არაერთ ხელსაყრელ მომენტში ბუთოს უზუსტო ტყორცხების გამო მნიშვნელოვნად დაწოხაურება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა. მართალია, რამდენჯერმე ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა რიგელებს შეეძლოთ თამაშის თავისი კარახით წარმართვა, მაგრამ სწორედ ამ ძნელ პირობებში შეძლეს დინამოელებმა რამდენიმე სამქულიანი ტყორცნის ზუსტად შესრულება (დარსაძე, კაპუსტინი) და მდგომარეობის არსებითად გამოსწორება. მატჩის პირველი ნახევარი რიგელებმა მხოლოდ 2 ქულის სხვაობით მოიგეს (33:31).

შესვენებისას, ეტყობა, დინამოელთა კოლექტივმა საუცხოოდ გააანალიზეს ყოველი თავიანთი შეცდომა, გამოხატეს დაბრკოლებად აღმართული მეტოქის თამაშში არსებული სისუსტეებიც , და მეორე ტაიმის უკვე მეხუთე წუთისთვის თბილისელები დაწინაურდნენ. ამის შემდეგ მათ ერთხელაც აღარ დაუთმიათ პოზიცია, და რაც დრო გადიოდა, მათი უპირატესობა სულ უფრო შთამბეჭდავი ხდებოდა, უმეტესწილად ანგარიშში სხვაობა 10-16 ქულას აღწევდა და მატჩის საბოლოო მოგებაც სწორედ ამან განაპირობა (85:79).

ამ შეხვედრის მეორე ტაიმში თბილისელთაგან ყველამ — დარსაძემ, კაპუსტინმა, ოპოშნიანმა, ტიუბინმა, ფირიაშვილმა და სხვებმაც თავდადებით ითამაშეს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ ნაკლებად გამოცდილი კალათბურთელის ფირიაშვილის თამაშმა, რომელმაც დაცვაშიც და მეტოქეთა ფარქვეშაც შემართებით, ლაღად ითამაშა და ბოლომდე შეუპოვარი მებრძოლის თვისებები გამოავლინა.

თბილისის ტური დასასრულს მიუახლოდა. გუშინ შიხიბრების მონაწილენი ისვენებდნენ, დღეს კი ბოლოსწინა დღის მატჩები გამართება. თბილისის „დინამოს“ მეტოქე ამჯერად ლენინგრადის „სპარტაკი“ იქნება, ხვალ — ცსკა. დღეისათვის საუკეთესო ფორმაში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ცსკა — 20 გამარჯვება, „ყალგირისი“ — 19, თბილისის „დინამო“ — 15, ვეფი, „შახტიორი“ და „სპარტაკი“ — 13-13 მოგება.

სურათზე: რიგელთა ფარს უტევს ა. ფერიაშვილი, წამიც და ბურთი კალათში მოთავსდება.

ვ. ბენგბურის ფოტო.

ს. დევიძე.

სატურნირო ორბიტა

ძიუდო. გროდნოში დამთავრდა 15-17 წლის ჭაბუკთა საკავშირო პირველობა. საქართველოს წარმომადგენლებმა 3 ოქროს მედალი მოიპოვეს: თბილისელებმა გ. ალიბეგოვმა (57 კგ-მდე წონა), გ. ხაბულიანმა (62 კგ) და ქარელელმა ზ. დაბრუნდაშვილმა (83 კგ-ს ზევით წონა). გუნდურ ჩათვლაში გიმარჯვა ბროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ დინამოელი სპორტსმენები, მესამეზე — „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები.

ფეხბურთი. ინდოეთის ქალაქ კოჭიდოკში გიმართა ჯავაჰარლალ ნეჰრუს ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ფინალური შეხვედრა სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდსა და ბულგარეთის ნაკრებს შორის. საბჭოთა ოლიმპიელებმა ეს მატჩი ანგარიშით 2:0 მოიგეს და პირველი ადგილი დიაკვეს.

საქინფორმის განმარტება

საქინფორმის აფხაზეთის განყოფილების საკუთარი ფოტოკორესპონდენტის ბ. სოკოლოვის მიზეზით გაზეთ „კომუნისტის“ 6 თებერვლის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატებს, იმედა შუბითიძის ფოტოპორტრეტის ნაცვლად დაიბეჭდა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიის მანანა გელაშვილის ფოტო.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ორშაბათი, 9 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კავკასიური მოთხრობა“. I და II სერია. 12.00 — ჩვენს დიად სამშობლოში. დოკუმენტური ფილმი „მორეული აღმოსავლეთი — დღეს და ხვალ“. 12.55 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 17.10 — საქართველოს ისტორია. 17.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.50 — „მცხეთა“ (განმეორებით). 18.20 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრა მწერალთან“. (გ. ძნელაძე). 18.45 — „ფილოსოფიური საუბრები“. დაჩქარების სტრატეგია: ფილოსოფიური ასპექტი. 19.15 — საერთაშორისო დღიური. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 19.55 — მოამბე. 20.30 — თეატრალური აფიშა. 21.00 — „ნუ იმღერ ჩემთან ლამაზი ქალო“ (ა. პუშკინის გარდაცვალების 150 წლისთავის გამო). 22.00 „ვრემია“. 22.40 — დ. ანდღულაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა, 16.30 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „მორეული“. I და II ნაწილი.

სამშაბათი, 10 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ნაკრძალი მატსესტა“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — მულტიპლიკაციური ფილმი „სასწაული გოგრა“. 11.00 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 11.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქალბატონი გლეხის გოგო“. 12.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.00 — საინფორმაციო გამოშვება. 13.15 — აბიტურიენტებისათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — საინფორმაციო გამოშვება. 17.00 — „ბუნებისმეტყველება“. (ბ. ძნელაძე). 18.45 — „ფილოსოფიური საუბრები“. დაჩქარების სტრატეგია: ფილოსოფიური ასპექტი. 19.15 — საერთაშორისო დღიური. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 19.55 — მოამბე. 20.30 — „ნუ იმღერ ჩემთან ლამაზო ქალო“ (ა. პუშკინის გარდაცვალების 150 წლისთავის გამო). 22.00 „ვრემია“. 22.40 — დ. ანდღულაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა. 16.30 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „მორეული“. I და II ნაწილი.

სამშაბათი, 10 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ნაკრძალი მატსესტა“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — მულტიპლიკაციური ფილმი „სასწაული გოგრა“. 11.00 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 11.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქალბატონი გლეხის გოგო“. 12.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.00 — საინფორმაციო გამოშვება. 13.15 — აბიტურიენტებისათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — საინფორმაციო გამოშვება. 17.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 17.20 — ბიოლოგია. 17.50 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 18.45 — „ფილოსოფიური საუბრები“. დაჩქარების სტრატეგია: ფილოსოფიური ასპექტი. 19.15 — საერთაშორისო დღიური. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 19.55 — მოამბე. 20.30 — „ნუ იმღერ ჩემთან ლამაზო ქალო“ (ა. პუშკინის გარდაცვალების 150 წლისთავის გამო). 22.00 „ვრემია“. 22.40 — დ. ანდღულაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა. 16.30 — მხატვრული ფილმი „მერსედესი მდევარს დაუსხლტა“ (ქართულ ენაზე). 17.45 — განცხადებები. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთი ბრიგადის ბიოგრაფია“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია.

ოთხშაბათი, 11 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ბრატსკი“ და „ქალაქი გორკი“. 10.25 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.35 — დოკუმენტური ფილმი „რევოლუცია უფლებას გვაძლევს“. 11.30 — ხელოვნების ისტატთა კონცერტი რიტუალების სასახლეში (განმეორებთ). 12.20 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფაცურა“. 12.50 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 13.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ხელები“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდები ახალგაზრდებთან“. 17.20 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „დიმკას მამალი“ და „ქორორა“. 17.55 — ახალი წიგნები. 18.25 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სადისკუსიო კლუბი“ (განმეორებით). 19.10 — აგრომრეწვი მოქმედებს — როგორ ვმარცთავთ სოფლის მეურნეობას. 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — დონეცკის „შახტიორი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. 21.30 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 21.45 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქორეოგრაფიული ფანტაზია. 23.20 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.30 — მხატვრული ფილმი „მერსედესი მდევარს დაუსხლტა“ (ქართულ ენაზე). 17.45 — განცხადებები. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთი ბრიგადის ბიოგრაფია“. 18.10 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ხუთშაბათი, 12 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სატელევიზიო დოდგმა „ირეტსკის ისტორია“. I და II ნაწილი. 11.55 — დოკუმენტური ფილმი „ალოვი“. 12.45 — აბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „ქალაქი“. 17.45 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“ (მ.). 18.35 — „სიჩუმე! მიმდინარეობს ჩაწერა“ — სპაპვშო ანსამბლების „ჩიორასა“ და „ალეონის“ კონცერტი (მ.). 18.50 — მოსწავლეთათვის. „უთუოდ თქვენც გიფიქრიაო“... 19.50 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ოსტატის გახსენება“. ფ. ძაძამიძე (განმეორებითი). 21.00 — „ალტერნატივა“. ტელეხიდი „ჰამბურგი-ვაშინგტონი“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ვინ უფრო ძლიერია“.

მეორე პროგრამა. 16.55 — სატელევიზიო დადგმა „პერ გიუნტი (ქართულ ენაზე). 18.10 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

პარასკევი, 13 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მოსწავლეთათვის. „უთუოდ თქვენც გიფიქრიაო“ (განმეორებით). 10.55 — დოკუმენტური ფილმი „გახსოვდეს“. 11.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უელტეხილი“. 11.35 — ხალხური შემოქმედება. „ფოლკლორული საღამო გორში“ (განმეორებთ). 13.20 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ბიბლიოთეკა. 17.00 — „უშეი სულისა“. მიხეილ სულიკაშვილი (განმეორებთ). 17.25 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ხელოვნური ფილმი „გამარჯვება, მეზობელო!“ 17.55 — ტელეტელეპლიკაციური ფილმი „ცოტანტელა“. 18.05 — „ოსტატის ...“ 18.25 — „ჩვენი პრესკონფერენცია“. 19.05 — „პური ჩვენი არსებისა“. 19.50 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 20.50 — ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი. 21.50 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ვილა „გრეტას“ საიდუმლოება“.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „მშვიდობით, მწვანე ზაფხულო!“ 18.00 — კინოჟურნალი. 18.10 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

შაბათი, 14 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არხანგელსკი“. 10.15 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.45 — დოკუმენტური ფილმი „პირამიდა“. 11.20 — ახალგაზრდობისათვის. „ასუხისმგებლობა? — მე ასე მესმის“ (განმეორებით). 11.55 — მხატვრული ფილმი „მიმინო“. 13.30 — პოეზიის ხუთი წუთი. „ვეფხისტყაოსანი“ (ვახტანგ ნინოეული პირველი ნაბეჭდი გამოცემის 275 წელთან დაკავშირებით). 13.35 — ჯ. ჩაიკოვსკი. „წელიწადის დრონი“ (უკრავს ჩაი